№ 2831
კვირა,
29 მაისი

ცნობის ფურცელი

№ 2831
კვირა,
29 მაისი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხელის-მოწერის ფასი: წელიწადში—6მ. „თვეში უდამატებოთ—50 კ. დამატებით—75 კ.; ნომერი—3 კ., დამატებით—5 კ. ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით. პირველ გვერდზე—10 კ., მეოთხეზე—4 კ.
ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „ცნობის ფურც." რედაქციის კანტორაში ვანქის დიდ ქუჩაზე, № 27. განცხადებანი რუსეთიდან და საზღვარ-გარეთიდან მიიღება ლ. და გ. მეტცლისა და კამპ. განცხადებათა კანტორებში მოსკოვსა და პეტერბურგში.

ყოველ-დღიური გამოცემა
1896—1905

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირდაპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, ნაშუადღის 11—1-ლ საათამდე.—დაუბეჭდავს მცირე წერილებს და კორესპონდენციებს რედაქცია არ ინახავს. ხოლო ვრცელი წერილები ინახება ერთის თვის განმავლობაში.
ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели"-„Моамбе". ტელეფონი № 37.

სოფ. ქოლევში (სადგ. გელათი) 25 მაისს გარდაიცვალა

ილია იოსების ძე ჭიჭინაძე.

ამას აუწყებს ნათესავთა და ნაცნობთ მეუღლე იმისი **ალექსანდრა ივანეს** ასული, დედა, ძმები: **ალექსი, ანდრია** და **ვარლამ**, დები: **ანეტა, ლუციანა, ელისაბედ** და **ელენე**. დაკრძალვა 29 მაისს. (3—3)

წელიწადში — **სანატორიუმი** — მეორე

4400 ფუტის სიმაღლე.
საზაფხულო სამყოფი
15 ივნისიდან 31 მარიამობისთვემდე.

ექიმის ვახტანგ დ. ლამბაშიძისა

პატარა-ცემში, ბაკურიანის რკინის გზაზედ.

მიიღებიან ქალ-ვაჟნი 8—16 წლამდე: სისხლნაკლებნი, დასუსტებულნი, მოქანცულნი, ნაავადმყოფარნი, მადა-დაკარგულნი, ქაობის ციებით შეპყრობილნი და საერთოთ ვისაც ესაჭიროება მოღონიერება,

წამლობა განსაკუთრებით ბუნებრივი და ჰიგიენური: მთის ჰაერი, ფიჭვნარი, დასვენება, უხვი საზრდო, გასართობი და სამკურნალო ვარჯიშობა, წყლით ექიმობა შეფარდებული თითოეულ ბავშვის აგებულობასთან.

დაწვრილებით ცნობების შეტყობა შეიძლება პირადად ანუ წერილობით ექიმ ვ. ლამბაშიძესთან. ტფილისი, ნიკოლოზის ქ., № 46, 4—5 საათამდე კვირა დღის გარდა. (0—12).

სეზონის უკანასკნელი ტანისამოსი

მოსდის ყოველ-კვირა

ძმ. აკოფჯანოვების და სარქისიანცის

შეკერილ ტანისამოსის პირველ კავკასიის ამხანაგობის საფაბრიკო დეპოს.

ნიკოლოზის ხიდი, №№ 25—30.

ვურჩევთ

ადგილობრივ და სხვა ქალაქიდან ჩამოსულ მყიდველებს ჩვენის და სხვის სახელოსნოებში ინგლისურ და ფრანგულ ჟურნალებზე დამზადებულ უკანასკნელ ფასონის ტანისამოსს, მანდილოსნის ზედა ტანისამოსს, კაცის და ბავშვის ტანისამოსს და ყოველგვარ პალტოს, რუსეთისა და საზღვარ-გარეთის ფაბრიკებში დამზადებულს. ფასი ხელ-საყრელია.

შეუდარებლად. (0—37)

ფასები ნახევარ ფასად

განცხადება

ისარგებლეთ იშვიათი შემთხვევით

დამზადებულ ტანსაცმელის დეპო

ი. ვ. ხუდავერდიანცისა

გოლოვინის პროსპექტზე, პირველ გიმნაზიის პირდაპირ.

აუწყებს ტფილისის საზოგადოებას, რომ ვაჭრობის შემცირების გამო, 27 მაისიდან მოკლე ვადით დანიშნულია **არა ჩვეულებრივ იაფი ვაჭრობა** ნახევარ-ფასად დეპოს ყველა საქონლისა კაცების, ქალების და ბავშვების ტანსაცმელისა, რუსეთისა და ინგლისის ქარხნების მაუდებისა. დეპოს საჭიროდ არ მიაჩნია რეკლამის საშუალებით აღნიშნოს ხსენებულ საქონლის იაფი ფასები და სთხოვს მუშტრებს პირადად დარწმუნდნენ. ყველა საქონელს გადაჭრილი ფასი აწერია ფერადი კარანდაშით, ნარდათ მოვაჭრეთ შეღავათი ეძლევათ. იაფი ვაჭრობის დროს მაღაზია გაღებული იქნება დილის 8 საათიდან საღამოს 6 საათამდის.

ფასები ნახევარ ფასად

(5—1) პატივისცემით დამზადებულ ტანსაცმელის დეპო **ვ. ი. ხუდავერდიანცისა.**

ახალი ბუფეტი

„არარატი"

(ავჭალის ქუჩის დასაწყისში, სადაც ავჭალის ვაგონების გზა უხვევს, კუჩხის სახლი, № 38, ს. არუთინოვისა).

სუფთად და კოხტად მოწყობილ ბუფეტში მზადდება ევროპიული და აზიური საჭმელები. სანოვაგე ახალი და საუცხოვო. სადილ-ვახშამი ყველასთვის ხელ მისაწვდენი. საუკეთესო კახური ღვინოები, ცოცხალი და სხვა. სადილი ღირს: ორი თავი საჭმელი, ერთი ჭიქა არაყი და ერთი ჭიქა ღვინო ან ლუდი—40 კაპ.; სამი თავი საჭმელი, 1/2 ბოთლი ღვინო ან ერთი ბოთლი ლუდი და ყავა—65 კაპ.

(თვ.—6.—12) პატივის ცემით **ვანო.**

რესტორანი

„ფუნიკულერი".

1 ს.—5 ს. სადილი 4 ბლუდი 1 მ.

სადილი 29 მაისისთვის

დანიშნული განსაკუთრებულ გამოცდილის მზარეული მ. მიშელის.

1. შჩი ზელიონი პიროჟკებით.
2. სუფი ანდალოზი პიროჟკებით.
3. ფლავი ალუ-ბალით.
4. ბატკანი თუშური.
5. მაროჟნი ყავისა

და 6. ყავა.

სადილი 30 მაისისთვის

1. შჩი ლენივი პიროჟკებით.
2. სუფი იტალიურად პიროჟკებით.
3. ლოქო ქართულად.
4. ანტრიკოტი გარნისით.
5. კრემი კლუბნიკისა.

და ყავა.

მოძრაობა ფუნიკულერის ვაგონებისა დილის 8 ს. ღამის 12 საათამდე.

5 საათიდან—10 საათამდე უკრავს ორკესტრი 8-კავკასიის მსროლელთა ბატალიონისა კაპელმეისტერ დიდელმანის ზედამხედველობით.

(0—22) პატრონი **ნ. ტ. ჩიკვაიძე**

216 მანეთად წელიწადში ქირავდება სამი ოთახი ზემო სართულში წყლითა და ყოველის მოწყობილებით, დიდუბეში, ელისაბედისა და შერემეტიევის ქუჩაზე, სადაც რკინის გზის მაღაზიაა. (6—6.—5)

ქუთაისის რეალურ სასწავლებლის ყველა მოსწავლე, რომელიც პირველ ივნისამდე არ შემოიტანს თხოვნას, მარიამობის თვეში გამოცდაზე შემდეგ კლასში გადასასვლელად ანუ დარჩენაზე იმავე კლასში მეორე წლით, ჩაითვლება სასწავლებლიდან გამორიცხულად და ყოველივე საბუთი ჩაბარდება პოლიციის საშვალებით.

(3—6.—2) დირექტორი **ვ. ბაბანსკი.**

ახალი წიგნი

რანი ვიყავით გუშინ?

ისტორიული წერილი იაკობ გოგებაშვილისა, გამოვიდა და ისყიდება ტფილისში წერა-კითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში. გაიგზავნა სხვა ქალაქებსა და დაბებშიაც. ფასი ერთი აბაზი. მთელ შემოსავალს წიგნისას, რომელიც მთელის გამოცემის გაყიდვის შემდეგ ოც თუმნამდე უნდა ავიდეს, ავტორი გაგზავნის გურიაში იქაური საჯარო ბიბლიოთეკების შესავსებლად საუკეთესო წიგნებით. (6—2)

ექიმი

ვ. ს. მუსხელიშვილი

მიიღებს თვალებით ავადმყოფებს: დილით 12—2 ს. საღამოთი 6—7 ს. ყოველ დღე გარდა სამშაბათისა. კუთხე კირკის და დიდი მთავრის ქუჩებისა სახლი სვანიძისა № 12.

ექიმი

გ. ა. გედევანი

მადათოვის ქუჩა, № 15, ალექსანდრეს ბაღის ეკკლესიის პირდაპირ.

ყოველ დღე იღებს სიფილისითა, ვენერიულ და კანის სენით ავადმყოფთ. დილით 8-დან 9 საათამდე და საღამოთი—5-დან—8 საათამდე. (30ნ. 17)

ექიმი

ნ. ტ. მულინი

ყელის, ცხვირის და ყურის ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე, დღისით 12—2 და საღამოს 6—8 საათამდე, სუდებნი ქ. № 26. (20—6.—3)

ქალის ექიმი

ე. ი. ბალარჯიშვილი

მიიღებს ავადმყოფებს 10—3 საათამდე და 5—7 მიხეილის ქუჩა № 115. გერმანელთა ტაძრის გვერდით. (30—278—28)

კბილის ექიმი

ალ. სოლოლაშვილი

იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე 9—2-მდე და 5—7-მდე. კვირაობით მხოლოდ 12 საათამდე. გოლოვინის პროსპ. № 12. სახლი მდივანისა. (30—14)

რუსეთ-იაპონიის ომი

დეპეშები

„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან"

27 მაისი

პეტერბურგი. ლინევიჩის უქვეშევრდომილესი დეპეშა 26 მაისის თარიღით: „იაპონელებმა 23 მაისს გამოილაშქრეს ჩვენის მარცხენა ფრთის წინა რაზმების წინააღმდეგ, მაგრამ ისინი შეჩერებულ იქნენ; ერთი რაზმი გაიგზავნა 23 მაისს ცინხეს ხეობაში, შეავიწროვა მტრის წინა ნაწილი და დაიჭირა სოფ. სანცზიატაი, მეორე რაზმი, გაგზავნილი ხუნხეს მიდამოში, ბეიხეს სამხრეთ-დასავლეთისკენ წავიდა. მესამე რაზმმა, სამხრეთით წასულმა, გააძევა იაპონელები სოფ. ნანშანჩენძიდან და ტოუანგომდე მივიდა.

შანხაი, 26 მაისი. ამ ჟამად ლინევიჩი ფინჯაონშია და სამხრეთის დამცველ ადგილებს ათვალიერებს.

ტოკიო, 26 მაისი. გამოცხადდა, რომ როჟესტვენსკი კარგად ხდება; კეთილობს აგრეთვე მისი შტაბიც. ფლოტის განადგურების შემდეგ რუსები ენერგიულად მოქმედებენ ხმელეთზე. ისინი, როგორც ეტყობა, წინ გალაშქრებას აპირობენ. ჯარებს ძლიერ აწუხებს სასმელ წყლის უქონლობა და ცხელი ჰავა. მათ არა აქვთ კარვები, რის გამოც რამდენიმე ასი კაცი ჩანჩუნიდან გირინს გაიგზავნა.

ლონდონი, 27 მაისი. გაზეთ „დეილი-ნიუს"-ის წარმომადგენელი ემუსაიფა ბარონ სუემატცუს ამალის წევრ პროფესსორ ტაკაკუზას. პროფესსორის სიტყვით, იაპონია მოითხოვს მანჯურიის გაწმენდას რუსებისაგან და კორეიას თავის პროტექტორატის ქვეშ გამოაცხადებსო; იაპონიას ნება აქვს არავის დაუთმოს პორტ-არტური. ვლადივასტოკის შესახებ არ შეიძლება რაიმე გადაწყვეტილის თქმა. თუ შეეცადნენ ახლავე ჩამოვარდეს ზავი, მაშინ იაპონია მოითხოვს იარაღის აყრას ვლადივასტოკისთვის, სახალინის დათმობას და კონტრიბუციის გადახდას. კონტრიბუციათ 150 მილიონი გირვანქა სტერლინგია დანიშნულიო. იაპონია უეჭველათ მოითხოვს სამხედრო ხარჯის სრულ გადახდასო.

ვაშინგტონი. 26 მაისი. გუშინ იაპონიის ელჩმა და პრეზიდენტმა მთელს საათს იმუსაიფეს. ხმებია, რომ ისინი პეტერბურგიდან ამერიკელ ელჩის დეპეშას ელოდნენო. ოფიციალურ წრეებში ჰფიქრობენ, რომ იაპონია არ წარუდგენს რუსეთს დამამცირებელ პირობებსო. კასსინი არღვევს მოხსენებას, ვითომც მას გადაეცეს პეტერბურგში ზავის პირობები. რუზველტის აზრით, იაპონელების მოთხოვნები მანჯურიის ევაკუაციისა და კონტრიბუციის შესახებ ზომიერი იქნება. იაპონიას ჯერ არ უცნობებია დაწვრილებით ზავის შესახებ მოლაპარაკებანი. 26 მაისამდე არაფერი არ გამოქვეყნებულა. ხმებია, რომ რუზველტი არ გამოაქვეყნებს ზავის შესახებ ბჭობას, რათა არ შეურაცხჰყოს რუსეთიო.

პეკინი, 26 მაისი. სარწმუნო წრეების აზრით, გონიერი მოთხოვნები არ უნდა აღემატებოდეს 25 მილ. ფრანკს კვირაში ომის დაწყებიდან მოკიდებული.

ვაშინგტონი, 26 მაისი. „მორნინგ პოსტ"-ის კორესპონდენტის სიტყვით, იაპონია გადაჭრით ამბობს უარს გამოაცხადოს თავისი პირობები, სანამ რწმუნებულები არ შეიკრიბებიან. პირობები მხოლოდ მაშინ გამოცხადდება, როცა დაინიშნება ორივე მხრივ კომისარები და როცა იაპონია დარწმუნებული იქნება, რომ რუსეთს მართლა აქვს განზრახვა ზავის ჩამოგდებისა. ვაშინგტონში იმედი აქვთ, რომ სამს დღეში ქვეყნიერებას დიდს ამბებს აცნობებენო. ვაშინგტონში შეხვდებიან ერთმანეთს ორივე მოწინააღმდეგის რწმუნებულნი.

ტოკიო, 27 მაისი. ოფიციალური. მანჯურიაში შემდეგი მდგომარეობა იყო 25 მაისს. იაპონიის რაზმმა გაილაშქრა იანშუიშისკენ, გააძევა რუსის როტა და 50 კავალერისტი შაპინგაის აღმოსავლეთით ჩრდილო-აღმოსავლეთით ჩანჩენძუდან. შემდეგ იაპონელებმა დაიჭირეს მაღლობი შაპინგაის აღმოსავლეთით და ჩანჩენძუს ჩრდილო-აღმოსავლეთით. რუსის კავალერიის მცირე რაზმებმა იერიში მიიტანეს სუტანტაისა და შიტიანტიზე, მაგრამ გაძევებულ იქნენ.

კოპენჰაგენი, 26 მაისი. ხმებია, ნორვეგიის მთავრობას სურს, რომ ნორვეგიის ტახტზე პრინცი კარლოს დანიელი ავიდესო. იუწყებიან აგრეთვე, რომ ნორვეგიიდან დეპუტაცია მოვა კოპენჰაგენში მომავალ კვირას, რათა ნორვეგიის გვირგვინი შესთავაზონ პრინც ვოლდემარ დანიელსო. 25 მაისს საღამოს მშვიდობიანი დემონსტრაციები გაიმართა სტოკჰოლმსა და ქრისტიანიაში. სტოკჰოლმის ერთს დიდ რესტორანში ვიღაცამ დაიძახა, „წავიდეთ მეფესთან"-ო. ორკესტრი წინ წაუძღვა ხალხს, რომელსაც რამდენიმე ათასი კაცი და ქალი შეადგენდა; ხალხი გაემართა რეზონმუნდის სასახლისაკენ. მეფე-დედოფალი აივანზე გამოვიდნენ და თავს უკრავდნენ ხალხს სალამზე. ქრისტიანიაში დღესასწაული გამართეს დროებით მთავრობის პატივსაცემლად.

ბერლინი. 26 მაისს გარდაიცვალა თ. ლეოპოლდ ჰოგენცოლლერნი, რომლის მოდავეობამ ესპანიის გვირგვინისთვის საფრანგეთ-გერმანიის ომი გამოიწვია.

კიევი, 27 მაისი. კიევის გუბერნატორმა შემდეგი განცხადებები გააკვრევინა სოფლებში: კიევის გუბერნიის ზოგიერთ ადგილებში გლეხებმა არეულობა მოახდინეს, ძალით გააძევეს მინდორში მომუშავენი და ეკონომიებში მოსამსახურენი, წაავენეს სამუშაოთ ზედმეტი კაცი და მოსთხოვეს ეკონომიებს ერთი მანეთი დღის ქირად. გამოძიებამ აღმოაჩინა, რომ გლეხებში ვიღაცას ხმა დაუყრია, ვითომც ხელმწიფეს მანიფესტი გამოეცეს, მემამულეებმა და იჯარადრებმა ერთ მანეთზე ნაკლები ხელ-ფასი არ მისცენ მუშებსო. საყოველთაოდ ვაცხადებ, რომ არ ყოფილა ასეთი მანიფესტი. ამნაირ ხმებს ბოროტ-განმზრახველნიავრცელებენ, რათა შეაცდინონ გლეხები და არეულობა მოახდენინონ მათ, რაზედაც თვითონ გლეხები იქნებიან პასუხის მგებელნი. ვაფრთხილებ გლეხებს, არ დაუჯერონ სხვა და სხვა ხმებს, მიმართონ ხოლმე განმარტებისთვის თავიანთ მზრუნველ შეამავლებს და მტკიცეთ ახსოვდეთ, რომ იარაღით იქნება ჩაქრობილი ყოველი ცდა არეულობის მოხდენისა. ვინც ძარცვა-გლეჯას და ძალადობას მიმართავს, სისხლის სამართალში იქნება მიცემული და, ამას გარდა, მთელს ზარალს გადაახდევინებენ.

„პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოსაგან"

28 მაისი

შანხაი, 26 მაისი. როჟესტვენსკის ესკადრის ექიმები და მღვდლები მოვიდნენ აქა. ბრძოლის თვალით მნახველნი ამბობენ, იაპონელებს უმნიშვნელო ზარალი მოუვიდათო. „ასახი"-ს სამგან ჰქონდა განგრეული გვერდი. ჩვენს წამალს რომ შიმოზეს ძალა ჰქონოდა, „ასახი" დაიღუპებოდა. ამბობენ, იაპონელებს მხოლოდ ერთი კრეისერი, ალბად, „იძუმო" დაეღუპათო. ჩვენი გემები ამ რიგად დაიღუპა: „ოსლიაბია", „კნიაზ სუვოროვი", „ალექსანდრე III", „ბოროდინო". უკანასკნელი გემი 20 წუთში ჩაიძირა. „ნიკოლაი I", „აპრაქსინი", „სინიავინი" თითქმის უვნებლად გადარჩნენ, „ორიოლ"-ზე ყველაფერი დაიწვა. ნებოგატოვმა გემების დაუთანხმებლივ სიგნალი მისცა: მტრისაგან წრე შემოვლებული ტყვედ გნებდებითო". იაპონელები საოცრად მარჯვედ უმიზნებდნენ ზარბაზნებს. დამარცხების უმთავრესი მიზეზი არის ისა, რომ უფროსობა ნებოგატოვს გადაეცა და ყველანი დარწმუნებულნი იყვნენ, რომ როჟესტვენსკი დაიღუპაო.

ვაშინგტონი, 27 მაისი. („ასოსიეტ. პრეს."). ძლივს მიიღეს ცნობა იმის შესახებ, თუ რუსეთი როგორ უცქერის შერიგების საქმეს. ამბობენ, საერთოდ კარგი ნიშნები სჩანსო. ამერიკის ელჩმა პეტერბურგიდან ცნობა გამოგზავნა აქა, რომ რუსეთის მთავრობა მზადაა შერიგების საქმე განიხილოს, თუ რუსეთი ამერიკის შუამდგომლობას დასთანხმდებაო.

მანილა, 26 მაისი. დამატებით ცნობით, იაპონელების მისვლა კორეის სრუტეში სრულიად მოულოდნელი იყო რუსებისათვის, რომელნიც ბრძოლისათვის არ იყვნენ მომზადებულნი და ამიტომ აირ-დაირივნენ. რუსის გემებმა მარჯვენა მხრის ბატარეებიდან დაიწყეს სროლა, მარცხენა მხრის ბატარეები-კი არ მომზადებულიყვნენ ბრძოლისათვის, ამიტომ, როცა იაპონელები მიბრუნდნენ და გაქანებული რუსის გემების მწკრივებ შუა შეიჭრნენ, მარცხენა ბატარეები გაჩუმებულნი იყვნენ. ამ დროს იაპონელები რუსებს გარს შემოერტყნენ და იმათი ესკადრა გაანადგურეს.—ადმირალმა ტრენმა, ალბად, წინადადება მისცა რუსებს ზარბაზნის კლიტეები გამოიღონ და ზარბაზნები დამალონ. აფიცრებს პატიოსან სიტყვას ჩამოართმევენ და კუნძულზე სიარულის ნებას მისცემენ, მატროსებს ქალაქში სიარულისას ენკვისტის თავდებობით.

ვაშინგტონი, 27 მაისი. გერმანიის ელჩი გუშინ რუზველტს ეთათბირა. ავტორიტეტული წყაროები იუწყებიან, აქამდე დიპლომატების ვიზიტებს თეთრ სახლში სერიოზული მნიშვნელობა არა ჰქონიათ, გარდა იაპონიის ელჩის ვიზიტისა, როცა ელჩს შეატყობინეს, რა შედეგი ჰქონდა ამერიკის ელჩის აუდიენციას პეტერბურგში. მოლაპარაკება ეს არის, ეხლა იწყება. იაპონიის ელჩმა არ შეატყობინა რუზველტს თავისი განზრახვა. იაპონიის საფინანსო აგენტმა კანეკომ უთხრა „ასოსიეტედ პრეს"-ის კორესპონდენტს, იაპონიას არ მიუღია რუსეთისაგან შეკითხვა ზავის პირობებზე, რუზველტმა კიდევ გაუგზავნა ინსტრუქციები ამერიკის ელჩს პეტერბურგში. კასინი გუშინ საფრანგეთის ელჩს ეთათბირა. აქ იმედი აქვთ, ინგლისის მთავრობა ხელს შეუწყობს შერიგებას და იაპონიას ზომიერებას ურჩევსო.

ნიუ-იორკი, 27 მაისი. რუზველტი ვირგინიაში მიდის და ორშაბათს დაბრუნდება. პრეზიდენტი დარწმუნებულია, რომ მანამდე რუსეთ-იაპონიის მოლაპარაკება წინ წაიწევსო.

მანილა, 27 მაისი. იაპონიის ორმა გემმა სამხრეთისკენ გაიარა ლინგაენის სრუტეს ახლოს.

ტოკიო, 27 მაისი („რეიტერი"). მთავარი სადგური იუწყება, რომ იაპონელები ლიანშუიჩენისკენ გაემართნენ და უკუაქციეს 50 კაცისაგან შემდგარი რუსის როტა. 25 მაისს დილის 3 საათზე იაპონელებმა დაიჭირეს სიმაღლეები ჩაპენგანის აღმოსავლეთით. დილის 6 საათზე რუსებმა იერიში მოიტანეს სუპანგტაისა, ტოუტუნსა და შისტიოტიზე. იაპონელებმა უკუაქციეს ისინი.

ვაშინგტონი, 27 მაისი („რეიტერი"). ფილიპინის კუნძულების გუბერნატორმა დეპეშით აცნობა ტაფტს, რომ რუსების გემები დანიშნულ ვადაზე, ერთი დღის განმავლობაში, არ გავიდნენ, რის გამო ამ ჟამად ეს გემები ადმირალის ტრენის ზედამხედველობის ქვეშ არიან, რომელმაც საჭირო ზომები მიიღო მათ დასაკავებლად. რუსის გემები მოლს იქით დგანან, ამერიკის სამხედრო გემების „ოგიოს" და „მონადნოკის" ზარბაზნების ახლოს.

სიტიაზა, 27 მაისი. 23 მაისს იაპონელებმა რუსის ჯარი დაზვერეს ლიანუზალინცას მხარეს. ჯერ წინ გამოილაშქრეს, მერე უკან დაიწიეს. ჩინელები ამბობენ, რომ სადგური ჩანტუფუ ძლიერ გამაგრეს იაპონელებმა და გარს ხელოვნური დაბრკოლებანი გაუმართესო.

პეტერბურგი. „რუს"-ი ამბობს: 26 მაისს მინისტრთა საბჭოს სხდომამ დიდის თანაგრძნობით მიიღო ბულიგინის პროექტი ხალხის წარმომადგენლების შესახებ. სცნეს, რომ აზრი მუდმივ სახელმწიფო სათათბიროზე, რომელიც თავისუფლად იქმნება არჩეული ხალხის მიერ, სრულიად აკმაყოფილებს მომწიფებულ მოთხოვნილებათ. 25 მუხლი განიხილეს. არჩევნების წესებში დაწესებულებათა შემწეობით არჩევნების მოხდენას უთანხმოება არ გამოუწვევია. ზოგიერთი მუხლი შეასწორეს. შემდეგი სხდომები 27 და 28 მაისს მოხდება.

ბერლინი, 27 მაისი. „რეიტერ"-ს დეპეშით ატყობინებენ ვაშინგტონიდან, გერმანიამ წინადადებით მიჰმართა სახელმწიფოებს მაროკოს საქმეზე კონფერენცია მოვიწვიოთო. ვოლფის სააგენტომ განმარტა, რომ ეს ცნობა სწორე არააო. სახელმწიფოები კონფერენციაზე მაროკოს სულთანმა მოიწვიაო. გერმანიამ შეატყობინა იმ სახელმწიფოებს, რომლებიც მონაწილეობას იღებენ მაროკოს კონფერენციაში, მზადა ვარ,—მოწვევას დავეთანხმდეო; ამავე დროს გერმანიამ შეატყობინა, თუ რა საბუთის ძალით მოქმედებს ასე.

პეტერბურგი, 26 მაისი. რადგან სპარსეთში ხოლერა მოისპო, შავ ჭირთან მებრძოლმა კომისიამ განკარგულება მოახდინა, გაიხსნას მგზავრებისა და საქონლისათვის სპარსეთის ხმელეთის საზღვარი, რომელიც გასულ წელს დახურული იყო. ოფიციალურად არ დამტკიცდა, „რუს. სტელ. სააგ."-ის ცნობა იმის შესახებ, რომ ლოძში ერთი კაცი გახდა ავად ხოლერითაო.

პეტერბურგი, 26 მაისი, ოფიციალური. 26 მაისს მოხდა მინისტრთა საბჭოს პირველი სხდომა გრაფის სოლსკის თავმჯდომარეობით, რომელმაც განიხილა შინაგან-მინისტრის ბულიგინის პროექტი ხალხის წარმომადგენლების შესახებ. შემდეგი სხდომები ყოველ დღე მოხდება, რათა დააჩქარონ პროექტის განხილვა. სხდომებში მინისტრთა საბჭოს ყველა წევრი იღებს მონაწილეობას. გაზეთის ცნობები იმის შესახებ, რომ სახელმწიფო სათათბიროს ყოველ წელს მხოლოდ ერთ თვესა ან თვე-ნახევრის განმავლობაში ექნება სხდომები, სიმართლეს მოკლებულია. პროექტით სათათბიროს ყოველ წელს 8 თვის განმავლობაში ექნება სხდომები, სახელმწიფო საბჭოს მსგავსად. „სელსკ. ვესტნ."-ში დაბეჭდილია განსაკუთრებულ საბჭოს თავმჯდომარის შემდეგი განცხადება იმის შესახებ, თუ რა ზომები იქნება მიღებული გლეხთა მიწა-მფლობელობის გასამტკიცებლად: „საბჭოს თათბირი ჰქონდა იმის შესახებ, რომ ხალხიდან არჩეულ უნდა იქნან გლეხთა მიწათ-მფლობელობის გაწესრიგების თაობაზე ცნობების გადასაცემად. საბჭოს მიერ გამოთქმული აზრები ამ საყურადღებო საკითხის შესახებ უმაღლესად მოწონებულ იქნა, რასაც ვაუწყებ რუსეთის გლეხობას. მათ მიერ არჩეულნი რწმუნებულნი მოწვეულ იქნებიან ამ საქმისათვის უმაღლესად დაარსებულ განსაკუთრებულ საბჭოში გლეხთა მიწათ-მფლობელობის გასამტკიცებლად. თავის დროზე გამოცხადებულ იქნება გლეხების რწმუნებულთა არჩევის წეს-რიგი. განზრახულია, შემდეგისათ-

ვის მოიწვიონ ისინი, როდესაც საბჭო დაამზადებს თავის ნაშრომს.

პარიზი, 27 მაისი. („ჰავასი“.). ფლოტოვის მიერ რუვიესთვის გადაცემული ნოტა წარმოადგენს საერთო ნოტას, რომლითაც გერმანიის მთავრობამ მიმართა ყველა სახელმწიფოს განცხადებით, ვეთანხმები მაროკოს მთავრობის წინადადებას იმის შესახებ, რომ რეფორმათა საკითხი საერთაშორისო კონფერენციას გადაეცეს განსახილველადო. გერმანიის მთავრობას მოჰყავს მადრიდის კონფერენციის მე-17 მუხლი, რომლითაც უზრუნველყოფილია მაროკოში სხვებთან შედარებით, საუკეთესო პირობები იმ სახელმწიფოებისათვის, რომელსაც ხელი უწერიათ კონვენციაზე. რუვიემ მხოლოდ სახეში მიიღო ეს ნოტა. სახელმწიფოებს, რომელთაც გადასცეს ნოტა, ჯერ პასუხი არ გამოუგზავნიათ.

ქრისტიანია, 24 მაისი. დღეს ახელშუს ციხეზე უნიის ბაირაღის მაგივრად ნორვეგიის სამეფოსთვანი ბაირაღი ამართეს. მოედანზე 3 ათას კაცზე მეტი შეიკრიბა. დაასწრნენ აგრეთვე სტორტინგის წევრები. კომენდანტმა წაიკითხა სტორტინგის გადაწყვეტილება. კოპენჰაგენისა, რომისა და მადრიდის ელჩებმა, რომელნიც ნორვეგიელნი არიან წარმოშობით, სამსახურს თავი გაანებეს უნიის დარღვევის გამო; მათი გადადგომა მიღებულ იქნა.

სტოკჰოლმი, 27 მაისი. მეფემ 7 ივნისისთვის გადასწყვიტა არა ჩვეულებრივი სესსია მოიწვიოს, რათა შვეციამ ზომები მიიღოს მომხდარ ამბების გამო.

ხარკოვი, 27 მაისი. დღეს სევასტოპოლის გზის სავაგონე სახელოსნოებში მუშაობა განაახლეს.

ვარშავა, 27 მაისი. „ზაპადნი „გოლოს“-ის რედაქცია აცნობებს მკითხველებს, რომ ის შეწყვეტილია ცენზურისაგან შევიწროვების გამო, რაც შეუძლოთ ხდის პოლონეთში რუსულ დამოუკიდებელ ორგანოს არსებობას. რედაქციას იმედი აქვს განაახლოს გამოცემა მომავალში, როცა ცვლილება იქნება შეტანილი ცენზურის პირობებში.

ჟურნალ-გაზეთებიდან

ადმირალი ტოგო. იაპონიის მებრძოლ ფლოტის უფროსი, 28 ივლისისა და ცუსიმას გმირი ადმ. ტოგო ძლიერ გამხდარი, თითქმის გლეული, დაბალი, მაგრამ კოხტა მოყვანილი ტანისაა. იმისი მაღალი, ფართო შუბლი, მახვილი, დინჯი სახე და გამომეტყველი თვალები ძლიერ შთაბეჭდილებას ახდენენ კაცზე. ხშირის წვერ ულვაშითა და მრგვალის თვალებით, იაპონელი ადმირალი უფრო ევროპიელსა ჰგავს, ვიდრე ჩვეულებრივ იაპონელს და განთქმულ საზღვაო მოგზაურებს კოლუმბსა, მაგელანს და ვასკო-დე-გამას მოაგონებთ. ამ მოგზაურებივით ტოგოც მუდამ დაფიქრებულია, იმისი გონება დაუღალავად მუშაობს, მუდამ დიდ საზღვაო საქმეებზე ჰფიქრობს და დიდ პლანებს აწყობს. მთელი იაპონია აღმერთებს ტოგოს; მართალია თავისი ნიჭიერი გენერლებიც ძლიერ უყვარს, მაგრამ ადმ. ტოგოს ყველაზე მაღლა აყენებს; ტოგო რომ არ გვყოლოდა, მანჯურიაში ჯარს ვერ გადავიყვანდითო, ამბობენ იაპონელები. მართლაც და დიდი საქმე გაარიგა ამ ომის დროს იაპონიის ფლოტმა ადმ. ტოგოს უფროსობით; ჯერ საზღვაო ისტორიაში მაგალითი არა ყოფილა, რომ ასე შედარებით პატარა ფლოტს 16 თვის განმავლობაში ასე სახელოვნად ემოქმედოს. ადმ. ტოგომ თავის ფლოტით რუსის ორი ძლიერი ესკადრა გაანადგურა რიგ-რიგად და თავისი ფლოტიც არა თუ არ დაასუსტა, პირიქით, გააძლიერა კიდევაც. დაიწყო თუ არა ომი, იაპონელმა ადმირალმა ხელად მოუპოვა თავის ფლოტს ზღვაზე ბატონობა და რუსის ფლოტი პორტ-არტურში დაატუსაღა. იაპონიის ფლოტის სახელოვანი მოქმედება პორტ-არტურთან, 26—27 იანვრის ბრძოლა, ბრანდერების იერიში, ადმ. მაკაროვის დაღუპვა, 28 ივლისის ბრძოლა ყველას კარგად ახსოვს. მაგრამ ცუსიმასთან გამარჯვებამ ყველა წინანდელი ბრძოლა და საქმეები სულ დაჩრდილა და მთელი ქვეყნიერობა გააოცა. ინგლისელები წინადაც იაპონელ ნელსონის სახელს უწოდებდნენ ადმ. ტოგოს და ცუსიმას შემდეგ ხომ ბევრმა გენიოს ინგლისელ ადმირალზეც მაღლა დააყენა იაპონელი ადმირალი: ცუსიმასთან ტოგომ ერთის დაკვრით მოუღო ბოლო ბალტიის ფლოტს და იაპონიას სამუდამოდ დაუმკვიდრა ზღვაზე ბატონობა. („ბ. ვ.“).

ახალ საზღვაო ბრძოლის ამბები. ცნობილი კორესპონდენტი ლიუდოვიკ ნოდო ატყობინებს „ჟურნალ“-ს ტოკიოდან: ჯერ კიდევ ბრძოლამდე სამის კვირის წინად ერთმა გამოჩენილმა იაპონელმა მითხრა დარწმუნებით: „ყველაფერი მზადა გვაქვს როჟესტვენსკის ესკადრის გასანადგურებლადაო“.

დაჭრილ რუს მეზღვაურებს უამბნიათ ნოდოსათვის: როჟესტვენსკის ელდა ეცა, როცა ტოგოს სრული ესკადრა დაინახა. აგენტებისაგანაც მიიღო ცნობა როჟესტვენსკიმ, მაგრამ ამ ცნობებს არ დაუჯერდა და მტრის დასაზვერად რამდენიმე გემი გაჰგზავნა. ეს გემები წავიდნენ და არა თუ არ დამალულან, პირიქით, იაპონიის ნაპირებს დაუშინეს ზარბაზანი. იაპონელები განზრახ პასუხს არ აძლევდნენ რუსის მჭვრავ გემებს, თუმცა ტოგოს მთელი ესკადრა იქვე იდგა. ამ გარემოებამ სულ მთლად შეაცდინა როჟესტვენსკი. ნოდო ამბობს, რუსის ესკადრა ძლიერ გრძლად იყო გაჭიმული: როცა პირველი გემები იძირებოდნენ კიდევაც, უკანა გემებს ჯერ ერთი ზარბაზანი არა ჰქონდათ დაცლილი.

რუსეთის ზარალი ზღვაზე. გერმანულ გაზ. „პოსტ“-ის ანგარიშით, რუსეთს მეტად დიდი ზარალი მოუვიდა წყნარ ოკეანეში. პორტ-არტურის ესკადრა 200 მილიონი მანეთი ღირდა, ცუსიმასთან დაღუპული გემები 300 მილიონი, ბალტიის ფლოტის გაგზავნა შორეულ აღმოსავლეთს სულ მცირედ 300 მილიონი ღირდა, ასე რომ წყნარ ოკეანეში დაღუპული რუსის ფლოტი სულ მცირედ 800 მილიონ მანეთად ღირდა. („ნ. დ.“).

ორიოდე სიტყვა გაზეთ „ივერიას“

ჩვენს უკანასკნელ წერილში, სხვათა შორის, ის აზრი გამოვთქვით, რომ მუშა, რომელიც ქირის მომატებისთვის იბრძვის, კერძო საკუთრების ნიადაგზე სდგას და ამიტომ შესაძლოდ ჰხდება იმისი შეთანხმება კაპიტალისტთან. ეს აზრი გაზეთ „ივერიას“ უცნაურად მიაჩნია; ამ გაზეთის სიტყვით ეს ფაქტი, ე. ი. ბრძოლა ქირის მომატებისთვის, არ ამტკიცებს, რომ მუშა კერძო საკუთრების ნიადაგზე იდგეს და მისი იდეალი ბურჟუაზიის იდეალისაგან არ განსხვავდებოდეს. ყოვლის უწინარეს უნდა აღვნიშნოთ, რომ ჩვენ არასოდეს, არც ეხლა და არც წინად არ გვითქვამს, ვითომც მუშებისა და ბურჟუაზიის იდეალი ერთმანეთისაგან არ განსხვავდებოდეს; პირიქით, ჩვენ ყოველთვის ნათლად და გარკვევით ვამბობთ, რომ მათი იდეალები შეურიგებელი და შეუთანხმებელია... რაც შეეხება იმას, რომ კერძო საკუთრება სამუშაო ქირის რაოდენობაზე ბრძოლის დროს საერთო ნიადაგს წარმოადგენს როგორც მუშისთვის, ისე კაპიტალისტისთვის—ამას ჩვენ ყოველთვის ვიტყვით და, თუ გაზეთ „ივერიას“ შეუძლიან, სცადოს და დაარღვიოს ეს აზრი. სამუშაო ქირა, რომელსაც ბურჟუა აძლევს მუშას და რომლის მომატებასაც მუშა ითხოვს, კერძო საკუთრების ერთ-ერთი ტოტია, რომელიც მარტოოდენ იქ შეიძლება იყოს, სადაც კერძო საკუთრება არსებობს, და თუ გაზ. „ივერია“ სხვაგვარად ჰფიქრობს, სცადოს და დაგვანახვოს, როგორ შეიძლება მუშამ ერთსა და იმავე დროს ბურჟუების კერძო საკუთრებაც უარჰყოს და სამუშაო ქირის მომატებაც მოითხოვოს იმათგან.

სრულიად სხვა საგანია იმისი გამორკვევა, ეთანხმება თუ არა მუშათა კლასსი იდეურად კერძო საკუთრებას და მუდამ იმის ნიადაგზე იდგება ის პრაქტიკულად, თუ დადგება დრო, როდესაც სრულიად ზურგს შეაქცევს იგი ამ ინსტიტუტს. ამის შესახებ ჩვენს წერილში სწორედ იქ გამოვთქვით ჩვენი აზრი, რომლის წინაც გაზეთმა „ივერიამ“ დაუსვა წერტილი ციტატას. იქ ჩვენ სრულიად გარკვევით და ნათლად ვამბობთ, რომ კაპიტალისტების და მუშების შუა სრული და მოურიგებელი განხეთქილება მაშინ გაჩნდება, როდესაც მუშათა კლასსი თვით საკუთრების გაუქმებას მოითხოვს. „საკუთრების ნიადაგზე სდგასო“ რომ ვამბობთ, ამ სიტყვების აზრი მხოლოდ ის არის, რომ მუშათა კლასსი საკუთრების პრინციპს რეალურად ჯერ-ჯერობით არ უარჰყოფს, სხვა და სხვა მოსაზრების გამო, ჯერ-ჯერობით საჭიროდ სცნობს მხოლოდ სამუშაო დღის შემოკლებას, შრომის ფასის ვადიდებას და სხვა ამ გვარებს, და, მიუხედავათ იმისა, მოსწონს თუ არა კერძო საკუთრება, მაინც შესაძლოდ ვერ სცნობს ეხლავე პრაქტიკულად და არა იდეიურად გამოუცხადოს ბრძოლა თვით საკუთრების პრინციპს და იმისი გაუქმება ეხლავე დაისახოს თავის მოქმედების პირდაპირ მიზნად.

გაზეთი „ივერია“ გვასწავლის, სამუშაო ქირის მომატება და სამუშაო დროს შემცირება, ისე როგორც დემოკრატიულ მმართველობის შემოღება ნაცვლად ბიუროკრატიულისა, მუშისთვის საშუალებაა მიზნის მისაღწევად და არა თვითონ მიზანიო და ამასთანავე გვეკითხება, რომ ჩვენ მიზანი და საშუალება ერთმანეთში არეული გვქონდეს. ეს საყვედური, ჩვენის ფიქრით, პირდაპირი ნაყოფია იმ მართლა არეულის წარმოდგენისა, რომელიც გაზეთ „ივერია“-ს ჰქონია მიზნისა და საშუალების ურთიერთობის შესახებ. მიზანი ეწოდება იმ საგანს, რომლის განხორციელებასაც სცდილობს ადამიანი ანუ, მოკლედ, მიზანი არის განსახორციელებელი საგანი (ეს განმარტება ეკუთვნის გერმანელს მეცნიერს შტამლერს; das Ziel ist ein zu bewirkendes Object. ამბობს იგი თავის ცნობილ წიგნში („Wirtschaft und Rechts“). ხდება ხშირად ერთი რომელიმე საგანი კი არა აქვს დასახული მიზნად, არამედ რამდენიმე; ზოგჯერ კი ისეთი ძნელი განსახორციელებელი საგანი შეადგენს იმის მიზანს, რომ უეცრივ და ერთბაშად ამ მიზნის მისაღწევად მიმართული მოქმედება უაზრობა იქნებოდა, რადგან აუცილებლად უნაყოფო დარჩებოდა იგი. ამ მიზეზისა გამო ადამიანი ჩვეულებრივ ერთის რომლისამე მიზნით არა კმაყოფილდება და ჰქმნის თავის წარმოდგენაში მიზანთა მთელს სისტემას, რომელიც ნაწილ-ნაწილ უნდა განხორციელდეს განსაზღვრულის თანდათანობით. ერთ-ერთის მიზნის მიღწევა სრულებით იმას არა ნიშნავს, რომ ადამიანი მთლად დაკმაყოფილდეს; უკვე აღსრულებულ მიზნის ადგილას სხვა მიზანი სჩნდება, რომლის განსახორციელებლადაც მხოლოდ იმიტომ შეიძლება ეხლა მოქმედების მომართვა, რომ უკვე აღსრულებულმა მიზანმა საკმაოდ მოამზადა ამისათვის ნიადაგი. ამ აზრით შეგვიძლიან ვთქვათ, რომ ერთის მიზნის აღსრულება საშუალებაა მეორე მიზნის დასაყენებლად და განსახორციელებლად, მაგრამ აქედან ყოვლად შეუძლებელია ის დასკვნა გამოვიყვანოთ, რომ მიზანი და საშუალება ერთი-მეორისაგან პრინციპიალურად განსხვავდებოდეს, ისე რომ რომელიმე საგნის განხორციელება, მაგალითად, სამუშაო ქირის გადიდება მუშისათვის, საშუალება იყოს და არა მიზანი. პირიქით, ყოველივე, რის განხორციელებასაც კი ადამიანი ესწრაფვის, მიზანია იმის მოქმედებისა და, არა საშუალება მიზნის მისაღწევად, თუმცა შემდეგში ამ პირველის მიზნის განხორციელება ხელს შეუწყობს სხვა მიზნის აღსრულებას.

გაზეთის „ივერიის“ თვალში, მაგალითად, დემოკრატიული წყობილება სახელმწიფოებრივ მმართველობისა საშუალებაა და არა მიზანი. ჩვენ კი გვგონია, რომ ვიდრე დემოკრატისმი არ განხორციელდება, იგი მიზანია და არა საშუალება, მაგრამ როდესაც განხორციელდება, მაშინ საშუალებად იქცევა. საშუალება მხოლოდ ის არის, რაც უკვე არსებობს, რაც უკვე განხორციელებულია, რაც ადამიანმა შეიძლება გამოიყენოს რაიმე ახალის საგნის ან ახალის მდგომარეობის შესაქმნელად და არა ის, რაც ჯერ-ჯერობით მხოლოდ ფანტაზიაში ჰსუფევს ე. ი. ოცნებაა და არა სინამდვილე; საშუალება არ შეიძლება ვუწოდოთ იმას, რაც ვერაფერს საშუალობას ვერ გაგვიწევს, ვერაფერს დახმარებას ვერ მოგვცემს, და ვთხოვთ აგვიხსნას იმან, ვინც სხვანაირად ჰფიქრობს, როგორ შეიძლება საშუალება ეწოდოს ისეთს საგანს, რომელიც მხოლოდ ოცნებაა და არა სინამდვილე. ვგონებ, ეხლა ცხადი უნდა იყოს მკითხველისთვის, სად არის არეული აზრები მიზნისა და საშუალების შესახებ, ჩვენს წერილში თუ გაზეთს „ივერიაში“.

გაზეთი „ივერია“ სცდილობს ადამიანის მოქმედების თელეოლოგიური მხარე გაიცნობიეროს ორის ცნებით: მიზნისა და საშუალების ცნებათა შეწყობით; მესამე აუცილებლად საჭირო ცნება კი, სახელდობრ მიზანთა სისტემა, გაზეთ „ივერიას“ აკლია და აი სწორედ აქედან წარმოსდგება ის უკუღმართი მსჯელობა, რომლის ნიმუშებიც ზემოთ ვნახეთ. ერთი მიზანი მეორე მიზანთან ხშირად შეკავშირებულია იმ მხრივ, რომ პირველის განხორციელება აუცილებელი საჭიროებაა მეორის განსახორციელებლად, ამიტომ მიზანთა სისტემაში პირველ მიზანს დამხმარებელი მნიშვნელობა ეძლევა. გაზეთი „ივერია“ ამას ვერ ჰხედავს და ამიტომ ჰგონია, რომ ზოგი მისწრაფება ადამიანისა მიზანი იყოს და ზოგი კი საშუალება. ეხლანდელის ბიუროკრატიულის წესის დამხობა და ახალის შემოღება, „ივერიის“ სიტყვით, ჰქმნის „ერთობას“ საშუალების მოპოვებაში და არა მიზნისა და საბოლოო იდეალის განხორციელების საქმეში. სრული ჭეშმარიტებაა, რომ ბურჟუაზია და მუშათა კლასი, მაგალითად, საბოლოო იდეალით არ გაერთიანდებიან იმის გამო, რომ ორივენი სცდილობენ დღევანდელის წესის შეცვლას, მაგრამ მართალია ისიც, რომ აწინდელის წესის შეცვლა ორივე კლასისთვის ამ ჟამად მიზანია და არა საშუალება. გაზ. „ივერიას“ რომ შეგნებული ჰქონდეს მიზანთა სისტემის ცნება, მაშინ იგი არც ასეთს უნიადაგო აზრებს იქადაგებდა და არც ის გაუკვირდებოდა, რომ მუშა კერძო საკუთრების ნიადაგზე სდგას, როდესაც შრომის ქირის მომატებისა და სამუშაო დღის შემცირებისთვის ებრძვის კაპიტალისტებს.

გ. რ.

ოფიციალური ცნობა

(„კავკაზ“, № 136).

დეპეშით გამოგზავნილ ცნობებით, ქ. ერევანში 24 მაისს გახსნდა სროლა. გამოჩნდებოდა თუ არა ჯარი, სროლა სწყდებოდა, შემდეგ კი, როცა ჯარი წავიდოდა, ისევ ასტყდებოდა. ყველა დუქანი დახურული იყო, ერთი საწყრომალო დუქანი დარბეულ იქნა. გუბერნატორმა თვითონ გამოიკვლია ეს საქმე და აღმოაჩინა მოტაცებულ ნივთების ერთი ნაწილი ქარვასლაში, სადაც მაჰმადიანები ცხოვრობენ. დანარჩენ საქონელსაც ეძებენ. წინა დღით დაიჭირა 22 კაცი. 26 მაისს ერევანში გარეგნულად საწყნარე იყო, ხალხი კი ძლიერ აშფოთებულია. შარურო-დარალაგეზის მთიან ადგილებშიაც ხალხი ისევ შფოთავს. ერევნის მაზრის სოფელ კამარლუს ყაჩაღებმა ბაზრიდან სახლში გადაიტანეს თავისი საქონელი. ღამე მაჰმადიანთა უმრავლესობა სოფლებში წავიდა, სადაც ასტეხა თოფის სროლა. ცნობები მოვიდა იმის შესახებ, რომ მაჰმადიანები არბევენ ერევნის მაზრის სოფ. ქაიდადს. რადგან მაზრის უფროსი და იმისი თანაშემწე იმ დროს სხვა ადგილებში იყვნენ გაგზავნილნი, ეჩმიაძინის მაზრის უფროსს ებრძანა წასულიყო ქაიდადს ესკადრონის რაზმით. საფოსტო გზებზე დიდი ძარცვა-გლეჯაა, განსაკუთრებით კი ნახიჩევნის გზაზე. ჯულფის რკინის გზის შტოზე მატარებლების მიმოსვლა შესწყდა, რადგან მდინარე არპაჩაიზე ხიდები დაზიანებულია. საზოგადოდ ერევნის გუბერნიაში ხალხი აღშფოთებულია. იქ ახალი ჯარები იგზავნება.

ახალი ამბავი

◆ პეტერბურგიდან დეპეშით გვატყობინებენ: **რუსეთის ქალაქის მოურავებისა და ერობათა მოღვაწეების** საზოგადო კრებამ, რომელზედაც მონაწილეობას იღებდა 300 კაცი, დაამთავრა სხდომები ოთხშაბათს, 25 მაისს. ყველა პარტიები შეთანხმდნენ და შეიმუშავეს პროექტი უქვეშევრდომილესად წარსადგენ პეტიციისა, რომლის თანახმად დაუყოვნებლივ უნდა მოწვეულ იქმნას დამფუძნებელი კრება ყველა ქვეშევრდომთა წარმომადგენელების მონაწილეობით. პეტიცია უნდა წარადგინოს განსაკუთრებულმა დეპუტაციამ გრაფის გეიდენის თავმჯდომარეობით. დეპუტაცია უკვე გაემგზავრა 26 მაისს პეტერბურგს. ეს მეორე დღეა სხდომები აქვს მინისტრთა საბჭოს ბულიგინის პროექტის განსახილველად. ბულიგინის პროექტით წარმომადგენლები უნდა მოწვეულ იქნენ აწ უკვე არსებულ საზოგადო დაწესებულებათაგან—ქალაქების თვითმართველობათა და ერობათაგან. მინისტრთა საბჭომ გადასწყვიტა დაუყოვნებლივ მოწვეულ იქმნეს წარმომადგენელნი თანახმად ბულიგინის პროექტისა.

◆ როგორც გავიგეთ, **ბაქოს დროებით** გენერალ-გუბერნატორი თავ. ამილახვარი, ავადმყოფობის გამო, ამ თანამდებობას თავს ანებებს; იმის მაგიერ, როგორც ხმა დადის, ბაქოში ნიშნავენ ქუთაისის გენერალ-გუბერნატორს თავ. ი. ორბელიანს. დაღესტნის გუბერნატორად ნამყოფს გენერალს თავ. ბარიატინსკის ნიშნავენ ქუთაისის დროებით გენერალ-გუბერნატორად. ხმა დადის, რომ საქარის სანერგის გამგეს ვლად. სტაროსელსკის ქუთაისის გუბერნატორად ნიშნავენ.

◆ **ერევნიდან გვატყობინებენ:** 26 მაისს ღამემ შედარებით წყნარად ჩაიარა, მხოლოდ ახლო-მახლო ბაღებიდან საშინელი სროლა ისმოდა. 27 მაისს, რამდენჯერმე ისროლეს რევოლვერები. იმავე დღეს ერთს თათრის სახლს ცეცხლი წაეკიდა. ქუჩაში მიმავალ თათარს საიდღანაც ტყვია მოხვდა და დაიჭრა. ნაშუადღევის 2 საათიდან 28 მაისის 12 საათს შუაღამემდის სიწყნარე იყო. ჯულფის გზის ლიანდაგზე დამშვიდდნენ.

◆ „ნოვ. ობ.“-ს ერევნიდან ატყობინებენ: „ოფიციალურის ცნობებით, ერევანში მოკლულია 31, აქედან სომეხი—9, თათარი—22. დაიჭრა 42: სომეხი—29, თათარი—11. მაჰმადიანთა ხულიგანები სცდილო-

ფელეტონი

პატარა ამბები

კანონი და კანონის განმარტება.—როგორი სარწმუნოებრივი თავისუფლებაა ჩვენში?—„ლოცვითა მოვიპოვებთ გამარჯვებას“.—დიდი-გომარეთის ამბავი.

ბიუროკრატიას თავი უკვდავი ჰგონია, არ ხედავს, არც უნდა დაინახოს, რაც მის გარშემო ხდება. „ყოველ ღონეს ხმარობს, ყოველს საშუალებას ეძებს“, რომ თავისი თავი მართალი გამოიყვანოს, ბატონობა შეირჩინოს, სიცოცხლე არსად გაჩნდეს. რა საშუალებას არ მიმართავს, რომ ცხოვრებასაც არ ჩამორჩეს და არც არავის რამე დაუთმოს; ერთს ფეხს წინ გადადგამს—რეფორმები მანდათ, მაგრამ მეორე დღესვე ორის ფეხით უკან დაიხევს, რომ ძველი ნიადაგი გაიმაგროს; ახალ-ახალ სიტყვებს გაიძახის დრო-გამოშვებით, მაგრამ საქმეს-კი ძველს აკეთებს...

ამ ორი კვირის წინად გამოცხადდა კანონი სარწმუნოების თავისუფლების შესახებ, მაგრამ რამდენისამე დღის შემდეგ გამოაშკარავდა, რომ (როგორც ეს ცირკულიარებმა აგვიხსნეს) თავისუფლებაც არის და თავისუფლებაც, რომ ჩვენებური თავისუფლება და ევროპიული თავისუფლება ერთი და იგივე არაა, რომ ჩვენში გამოცხადებული სარწმუნოების თავისუფლება სხვას ნიშნავდა. ზემოხსენებული კანონი ამბობს, სხვათა შორის, რომ მინისტრებმა უნდა მიიღონ ზომები გასაუქმებლად იმ ადმინისტრატიულ განკარგულებათა, რომლებიც ზღუდავენ სექტანტების უფლებას სამსახურში შესვლის დროსო. მინისტრის ცირკულიარმა-კი ასე „განმარტა“ ეს მუხლი კანონისა: „მინისტრებს შეუძლიათ მიიღონ ზომები შესაცვლელად იმ ადმინისტრატიულ განკარგულებათა, რომელნიც ზღუდავენ სექტანტების უფლებასო“. კანონი გარკვევით და გადაჭრით გვეუბნება: ეკლესიას მაშინ შეუძლია მოიპოვოს პატივისცემა, როდესაც მისი ძალა დამყარებულია არა საერო მართებლობაზე, არამედ ეკლესიის მსახურთა მოძღვრებაზე, როდესაც ეკლესია მოქმედობს მართალი სიტყვით და კეთილი საქმით და არა ძალმომრეობით და იარაღით. კანონის შემდეგ გამოცემული ცირკულიარი-კი მინისტრისა ეკლესიისათვის პატივისცემის მოპოვებას ავალებს გუბერნატორებს და მაზრის უფროსებს: მიიღეთ „საჭირო ზომები“, რომ მართლმადიდებელი ეკლესია ყოველთვის და ყოველგან პატივცემულ იქნას და არავინ შეეხოს მას სახელს და დიდებასო. კანონმა მიანიჭა სექტანტებს მღვდელ-მოქმედების თავისუფლება: როგორც გინდათ, ილოცეთ, როგორც გინდათ, სწირეთო. მინისტრის ცირკულიარმა ეს თავისუფლებაც თავისებურად შესცვალა და აუკრძალა სექტანტებს: საჯარო პროცესიები, ხატების გამოსვენება, სამღვდელო ტანისამოსების ხმარება ეკლესიების და სამლოცველოების გარედ, გალობა ქუჩებში და მოედნებზე და სხვა.

ასეთია კანონი, ასეთია ცირკულიარი. ერთი მეორეს არ ეთანხმება და მცხოვრებლები რომელს უნდა დაეთანხმონ, ეს ყველამ კარგად ვიცით საკუთარის გამოცდილებით: კანონი იწერება მხოლოდ წასაკითხავად, შესასრულებლად-კი იწერება ცირკულიარები, შენიშვნები, განმარტებები, სახელმძღვანელო აზრები, დამატებანი, დამატებითი შენიშვნები და სხვა და სხვა ამგვარი არაკანონიერი განკარგულებანი.

**

მაგრამ ისიც კია, რომ დღევანდელ ცხოვრებაში ცირკულიარებსაც არავინ ასრულებს, ცირკულიარიც მეტ ბარგად მიაჩნია ბიუროკრატიას და არაფრით არ უნდა შეიზღუდოს მოქმედების და თვითნებობის თავისუფლება.

რუსულ გაზეთებში, მაგალითად, ვკითხულობთ ამისთანა ამბავს. როდესაც თ. გოლიცანმა და შერემეტიევმა ბეჭედი ახსნეს და გააღეს მრავალი წლის განმავლობაში დაკეტილი ეკლესიები სექტანტებისა, მოსკოვის სექტანტებს ასეთი „მეგობრული რჩევა“ მისცეს: მართალია, სარწმუნოების თავისუფლებაა გამოცხადებული, მაგრამ თქვენი მთავარ-ეპისკოპოსი იოანე ნუ მიიღებს მონაწილეობას თქვენს წირვა-ლოცვაშიო; თქვენს ეპისკოპოსებს სრული თავისუფლება ექნებათ მღვდელ-მოქმედებისა, ხოლო ამ ჟამად „სიფრთხილე და ტაქტი“ მოითხოვს, რომ ისინი ნუ მიიღებენ მონაწილეობას ნურც ერთ მღვდელ-მსახურებაშიო.

სექტანტები „დასთანხმდნენ“ მეგობრულ წინადადებაზე და მათი ეპისკოპოსები დღესაც არ სწირავენ და არ ლოცულობენ ეკლესიებში. გარდა ამისა სარწმუნოების თავისუფლების გამოცხადების შემდეგ იმავე მოსკოვში პოლიციამ დაიბარა სექტანტები და ხელწერილი ჩამოართვა მათი სარწმუნოების თავისუფლების შეზღუდვის შესახებ... ასე ხდება რუსეთის სატახტო ქალაქში. რაც შეეხება პროვინციებს, იქ პოლიცია ისევ ძველებურად ეპყრობა სექტანტებს, სდევნის მათ, ავიწროებს, თავს ეცემა და სჩხრეკს უდროო-უდროოდ, არც ძველი ეკლესიის გახსნის ნებას აძლევს, არც ახალის აშენებისას.

სარწმუნოების თავისუფლების გამოცხადების შემდეგ მრავალმა ძალად გამართლ-მადიდებლებმა მოინდომა კათოლიკეს სარწმუნოების მიღება. მაგრამ პოლიციამ, წინააღმდეგ კანონის აზრისა, სხვანაირად შეხედა კათოლიკების სურვილს და თავისებური პოლიციური ზომები მიიღო თავისუფალ მორწმუნეთა ასალაგმავად. ამბობენ, სარწმუნოების თავისუფლებამ პოლიციის გარდა სხვებიც დააშინა და სარწმუნოების თავისუფლების „შესაფერ კალაპოტში ჩასაყენებლად“ საჭირო „დამატებითი“ ცვლილებები მოხდებაო..

მეტად ახირებულ მდგომარეობაშია ჩავარდნილი ბიუროკრატია: გადადგა წინ ფეხი და საკუთარის ხელით ყელს იჭრის, წინ ფეხის გადადგმა საკუთარის თავის უარყოფაა, ბიუროკრატია უკან სიარულს არის დაჩვეული და არა წინ; არ გადადგა ფეხი წინ და დღეს ისეთი დროებაა, რომ მოსვენებას არ აძლევენ, ემუქრებიან, სიკვდილს უქადიან. ერთი ზღაპრისა არ იყოს, მარჯვნით წახვალ, ინანებ, მარცხნით წახვალ, კიდევ უარესია! მოდით და ასეთ მდგომარეობას თავი დააღწიეთ! თვით მეტერნიხი რომ გაცოცხლდეს, ისიც ვერაფერს გამოიგონებდა ბიუროკრატიის დასახსნელად, თორემ დღევანდელი ლილიპუტები აბა რას გახდებიან!

გზა დაებნა ბიუროკრატიას, კვლავ აუშალა. დღეს ერთს გაიძახის, ხვალ მეორეს. არც სწამს, კიდეც სწამს. უნდა წინ წავიდეს, ეშინია. უნდა უკან დაიხიოს, ვერ ბედავს. უნდა ერთ ადგილზე გაჩერდეს, ესეც სახიფათოა: ვაი, რომ გაჩერდე, მკვდარი გეგონოთ, ხელი მტაცონ და საფლავში ჩამამარხონ! მოუსვენრად წრიალ-ყურყუმა ტრიალებს, ხან რას ეცემა და ხან რას. არაფერი არა სწამს, ვამბობ. მაგრამ მაინც ხმა მაღლა ყვირის: დიდება მამასა და ძესა და წმინდასა სულსა! ღვთით არის ყველაფერი, ღვთითა ვარ მეცა და როგორც ღვთიური დაწესებულებას, დასასრული არა მაქვს, ვერავინ დამძლევს, უკვდავი ვარ, საიქიო და სააქაო ჩემიაო!

**

ბენ გადასწვან სავაჭროები. რამდენიმე ბოროტ-მოქმედი შეიპყრეს. ხალხი შეშინებულია, დუქნები დაკეტეს. თათრები შერიგებას სდილობენ, მაგრამ სომხები არ ენდობიან. სოფელ ქელაში სროლა იყო“.

◆ ქალაქის მოურავის მოადგილის, თავ. ჩერქეზიშვილის, თავმჯდომარეობით 27 მაისს **სხდომა ჰქონდათ თათრებისა და სომხების წარმომადგენელთ;** სხდომაში რამდენიმე ქართველმაც მიიღო მონაწილეობა. კრებაზედ თათბირი ჰქონდათ იმის შესახებ, თუ როგორი ღონისძიებანი იხმარონ, რომ თავიდან აიცილონ ტფილისშიაც მოსალოდნელი შეტაკება სომეხთა და მაჰმადიანთა შორის. კრება, როგორც წინად, ამ დღესაც იმ აზრს დაადგა, რომ შეგნებული და გავლენიან პირთა დახმარებით ხალხს შეაგონონ, თუ რა საშინელი „შედეგი მოჰყვება ხოცვა-ჟლეტას და, საზოგადოდ, მიიღონ ღონისძიებანი ტფილისში მშვიდობიანობის დასაცველად. კრებამ აგრეთვე გაიცნო ბ-ნ შირვანზადეს მიერ შედგენილი მოწოდება კავკასიის მცხოვრებთადმი, მშვიდობიანობის დაცვისა და ერთობის დამყარების შესახებ. კრებამ მოიწონა მოწოდება და დაავალა კომისიას დაჰბეჭდოს იგი ადგილობრივ ენებზე ხალხში გასავრცელებლად.

◆ 27 მაისს, ღამის 11 საათზე, პოლიციის მე-8 ნაწილში, არსენალის გზა-ტკეცილზე ექვსი შეიარაღებული უცნობი **თავს დაეცნენ პოლიციის მოხელეს** ივანე ფილენკოს. ერთმა მათგანმა პოლიციელს თავში დაჰკრა ქვა. პოლიციელმა თავის დასაცავად იძრო ხმალი, მაგრამ უცნობთ მოასწრეს, წააქციეს და მოუნდომეს იარაღის წართმევა. ბრძოლის დროს ერთი მათგანი წასწვდა პოლიციელს და ხანჯალი ჯერ მუცელსა და მერე ბეჭში ჩაჰკრა; შემდეგ წაართვეს რევოლვერი და ხმალი და გაიქცნენ. ბოროტ-განმზრახველთ დარჩათ ხანჯალი და სხვა ნივთები. დაჭრილი პოლიციელი მიხეილის სამკურნალოში გაგზავნეს.

◆ გუშინ, 28 მაისს, ტფილისში უნდა მომხდარიყო **ქალთა კრება.** კრება ჯერ ნება დართული იყო, მაგრამ შემდეგ სხვა დროისთვის გადაიდო.

◆ ტფილისის **ქალთა პირველი გიმნაზია** წელს დაასრულა 91 მოსწავლემ. აქედან უმრავლესობა რუსები არიან, შემდეგ სომხები და მხოლოდ რამდენიმე ქალი ქართველია. მოგვყავს კურს დასრულებულ ქართველთა გვარები: ო. ნ. ვაშაძე, მ. ვ. მიქელაძე, ტ. შ. შიუკაშვილი, გ. დ. აბულაძე, რ. ს. ამირეჯიბი, ნ. დ. ქართველიშვილი, მ. ს. კერესელიძე.

◆ ტფ. ვაჟთა პირველ გიმნაზიაში წელს **სწავლა დაასრულა** 74 მოსწავლემ. მათგან ქართველებია: ზაქარია ანდრონიკაშვილი, დავით ვაჩნაძე, გიორგი გამრეკლიშვილი, კონსტ. ჯავრიშვილი (ოქროს მედლით) გიორგი ჯაფარიძე, ალექსი ზედგინიძე, ლუკა ყარხახ-ძოურავი, შიო იოსავა, ირაკლი მაჩაბელი, ვლადიმერ ორჯონიკიძე, ვასილ ფველეხიშვილი, არჩილ სავახელი, პავლე საყვარელიძე. ექსტერნებად ეგზამენები დაიჭირა 8 კაცმა, აქედან 2 ქართველმა: მიხეილ მაჭავარიანმა და დათა ანანიაშვილმა.

◆ როგორც „კავკაზ“-ი გადმოგვცემს, 17 მაისს ქუთაისში სამხედრო სასამართლოში გაირჩა **საქმე ებრალიძის, კვირკელიას, ჯაიანის და ადეიშვილისა,** რომელთაც ჰბრალდებოდათ სადგურის უფროსის გაძარცვა. სასამართლომ ბრალდებულთ ჩამოხრჩობა გადაუწყვიტა, ამასთან დაადგინა, იშუამდგომლოს ნამესტნიკის წინაშე, რათა ჩამოხრჩობა სამუდამო კატორღად შეეცვალოთ.

◆ გზათა მინისტრის მოწერილობით, 31 მაისს **ბაიკალის გზაზე უნდა გაიგზავნოს** ამიერ-კავკასიის რკინის გზის ტფილისის სადგურის ერთი საქონლის მიმღები კონდუქტორი და თორმეტი ტორმოზისა.

◆ დღეს, 29 მაისს, ქართულ დრამატიულ დასის ახალგაზდა მსახიობთაგან რკინის გზის თეატრში წარმოდგენილი იქნება „პეპო“ გ. სუნდუკიანცისა და ვოდევილი „დატრიალდა ჯარა“.

◆ როგორც „ნ. ვრემია“ გადმოგვცემს, საკითხი **საერობო დაწესებულებების შემოღების** შესახებ, ციმბირის გარდა, კავკასიისა, პოლონეთისა და ბალტიის სანაპირო გუბერნიებში, ჯერ-ჯერობით გადაიდო.

◆ გუშინ, 28 მაისს, დილის 9 საათზე ქალაქში შემდეგი მკვლელობა მოხდა: პოლიციის მე-8 ნაწილში რიგის ქუჩაზე, ეტლით მიდიოდა სამი სომეხი. როცა ეტლი მუხრანის ბორანის ნახევარს გაუთანასწორდა, უცნობთ რაღაცაზედაც ერთმანერთში ჩხუბი მოუვიდათ. ერთმა რევოლვერი დასცა ამხანაგს ზურგში და იქვე მოჰკლა. მკვლელმა მოჰკურცხლა დასამალავად და შევარდა ქუჩენკოს საჯინიბოში. მესამე ამხანაგი მას გამოუდგა ამოღებულის რევოლვერით, წამოეწია, რამდენჯერმე ესროლა და სასიკვდილოდ დასჭრა. ეს მაშინვე დააპატიმრეს, ხოლო დაჭრილი მიხეილის სამკურნალოში გაგზავნეს. ვინაობა ვერც მოკლულისა, ვერც დაჭრილისა, ვერც დამჭრელისა ვერ შეიტყვეს. მაშინვე ახლო-მახლო უბნებში ხმა გავარდა, რომ თათარი თავს დაეცა სომხებს, ერთი მოჰკლა და მეორე დასჭრაო. აღშფოთებული თათრები და სომხები ამ ამბის შესამოწმებლად წავიდნენ პოლიციის ნაწილში; იქ კი აღმოჩნდა, რომ მოკლულ-დაჭრილი და ბოროტ-მოქმედიც სომხები არიან. დაჭრილი გვარად ოჰანეზ ზაქარიანცია, ხოლო სხვათა ვინაობა ჯერ არ არის გამორკვეული.

◆ დღეს, 29 მაისს, ავლაბარში, არქსიანის სახალხო თეატრში, ქართულ სცენის მოყვარენი წარმოადგენენ პიესას: „ცხოვრების გარემე“. წარმოდგენა შუადღის 12 საათზე დაიწყება.

◆ ჯულფის გზის ამშენებელი ინჟ. ვურცელი 28 მაისს წავიდა ნახიჩევანს; რადგანაც ხიდები ძალზე დაზიანებული, რაც შეიძლება ხელი უნდა შეეწყოს მათ მალე შეკეთებას.

◆ ახალ ქალაქის მაზრის მომრიგებელ შუამავალი თავ. ჭავჭავაძე სიღნაღის მაზრაში გადაიყვანეს.

◆ სად. ფოთი. 27 მაისს, დილის 11 საათზე, და 45 წუთზე, ტენგინის პოლკის ჯარის კაცი პეტრე რეზნიკოვი რევოლვერს სწმენდა, ამ დროს უცაბედათ გავარდა, ტყვია იმავე პოლკის ჯარის კაცს ტიმოთე ბოხდარჩუკს მოხვდა და მოჰკლა.

◆ კასპის გზაზე გაიგზავნა ამიერ-კავკასიის რკინის გზიდგან 28 მაისს ორი სადგურის უფროსის თანაშემწე და ოთხი მეისრე.

—

დღევანდელ №-თან ხელის მომწერთ ურიგდებათ სურათებიანი დამატება № 320.

ქუთაისის ახალი ამბები

◆ რეალურ სასწავლებლის დირექტორი აცხადებს: „ქუთაისის რეალურ სასწავლებლის ყველა მოწაფე, რომელიც ამ წლის 1 ივნისამდის თხოვნას არ წარმოადგენს შესახებ იმისა, რომ ნება მიეცეს აგვისტოში დაიჭიროს შემდეგ კლასში გადასაყვანი ეგზამენი, ან და მეორე წელს რომ დასტოვონ იმავე კლასში,—სასწავლებლიდან გარიცხულად ჩაითვლება და საბუთები (დოკუმენტები) პოლიციის საშუალებით გადაეცემა“.

◆ როგორც დეპეშიდან უკვე იციან მკითხველებმა, ქუთაისში მყოფმა სტუდენტებმა 25 მაისს თითქმის ერთხმად გადასწყვიტეს, განკიცხონ ის მოწაფენი, რომელთაც უღალატეს ამხანაგებს. ამავე სტუდენტობამ დიდის ხმის უმრავლესობით დაადგინა: შეუერთდეს პიროგოვის მეათე კრების დადგენილებას, უარი განაცხადოს სასანიტარო მზრუნველობის თანამდებობაზე იმ გუბერნიის სასანიტარო აღმასრულებელ კომისიაში, რომელიც ადმინისტრაციის მბრძანებლობის ქვეშ იმყოფება, ხარჯი ძლიერ დიდი აქვს და საზოგადოებისთვის კი არავითარი სარგებლობა არ მოაქვს. იმ სტუდენტებმა-კი, რომელთაც სასანიტარო მზრუნველის ადგილი უთხოვნიათ და ავანსათ ფულიც მიუღიათ, უკანვე მოითხოვონ თხოვნები და ავანსად მიღებული ფული კი კომისიასვე დაუბრუნონ. რაც შეეხება ქალაქის თვითმართველობის სასანიტარო კომისიას, სტუდენტობამ თანხმობა განაცხადა ამ კომისიაში უსასყიდლოდ სამსახურისა.

◆ საურთიერთო ნდობის საზოგადოების ახალი თავმჯდომარე თავ. ა. ერისთავი ტფილისს წავიდა, რომ კავკასიის ნამესტნიკის გრაფის ვორონცოვ-დაშკოვის წინაშე შუამდგომლობა აღძრას ქუთაისის შავი-ქვის გადასატან ტარიფის დაკლების შესახებ. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ბანკის საქმეები გამობრუნებას აპირებს: თითო ფუთს დაგირავებულ შავ-ქვაში ოთხ კაპეიკის ნაცვლად—როგორც ნაანგარიშევი ჰქონდა მთავრობის რევიზიას, ამ ჟამად 7 კაპეიკზე მეტს იძლევიან. თუ ღმერთმა ჰქნა და ტარიფიც შეამცირეს, ბანკის მთელი ზარალი აღდგენილ იქნება და ქუთაისის საზოგადოება ცოტათი სულს მოითქვამს ამ საერთო ქესატობის დროს.

◆ ი. მ. ჩიქოვანის ჭრილობა მეტად მძიმე გამოდგა და ექიმებს ძლიერ ცოტა იმედი აქვთ მისი მორჩენისა. რევოლვერის ტყვიას ღვიძლი სულ დაუგლეჯია. პოლიციამ შეიპყრო ერთი კაცი, მ. ჩ—ის ქალის მსახური, რომელსაც მკვლელობის განზრახვას აბრალებენ. ბ-ნ ჩიქოვანის დაჭრას, როგორც ამბობენ, პოლიტიკურ ნიადაგთან არავითარი კავშირი არა ჰქონია, არამედ პირადი მტრობით ყოფილა გამოწვეული.

◆ 29 მაისს საურთიერთო ნდობის საზოგადოების დარბაზში მოხდება ქუთაისის სამეურნეო ამხანაგობის „კოლხიდა“-ს წევრთა კრება ნაცვლად იმ კრებისა, რომელიც 30 აპრილს ქუთაისში მომხდარ გაფიცვის გამო გადადებულ იქმნა. კრება, როგორც გადადებული, კანონიერად ჩაითვლება, რამდენი წევრიც უნდა დაესწროს.

◆ 30 მაისის საღამოს 8 საათისათვის ქალაქის საბჭოს დარბაზში დანიშნულია საბჭოს მორიგი კრება. ამავე საღამოს, ქალაქის საბჭოს დარბაზში, არ ვიცი, რა მოსაზრებით, ცეცხლისაგან მამულების საურთიერთო დამზღვევ საზოგადოების გამგეობას დაუნიშნავს ხსენებულ საზოგადოების წევრთა კრება. სამართლით მოგახსენოთ, სწორედ ძლიერ გვაკვირვებს გამგეობის ასეთი საქციელი? ნეტა რად დასჭირდა მაინცა და მაინც იმ დღისათვის დანიშნა კრება, როდესაც ქალაქის საბჭოს სხდომა უნდა მოხდეს? ხომ იციან, რომ კიდევ გადაიდოს კრება და არჩევნების მოხდენას დასასრული არ ძალუძს.

დონ-კიხოტი ლამანჩელი

(1605—1905 წ.)

სამმა საუკუნემ განვლო მას შემდეგ, რაც პირველად გამოვიდა უკვდავი წიგნი: „ცხოვრება და საგმირო საქმენი რაინდისა დონ-კიხოტ ლამანჩელისა, მოთხრობილი მიგუელ დე-სერვანტეს საავედრას მიერ“. ამ წიგნში მოთხრობილია ის, თუ რა გადახდა თავს საწყალ ესპანელ აზნაურს, რომელმაც რაინდულ რომანების კითხვის ზეგავლენით იგრძნო სურვილი, დაებრუნებინა საშუალო საუკუნეები მათის იდეალებით და დაისახა თავისი თავი მწირ რაინდად. თავის იარაღის მტარებელთან ერთად, სანჩო-პანსოსთან, მჭლე „მერანზედ“, რომელსაც რაინდი უძახის გაზვიადებულ სახელს როსსინანტს, დაიარება ქალაქებში, სოფლებში, ებრძვის ქარის წისქვილებს, რომელნიც მავნე დევებად მიაჩნია, ათავისუფლებს დაჩაგრულთ, და ყველგან და ყოველთვის ცხოვრების სინამდვილე გულქვავად დასცინის მის კეთილშობილურ მისწრაფებათ; სასაცილოდ იგდებს „მწუხარე სახის რაინდის“ საგმირო საქმეებს.

გულიანი სიცილი გაისმის აი სამასი წელიწადია, როცა ადამიანი კითხულობს დონ-კიხოტის ისტორიას. იცინოდა პატარა და დიდი, იცინიან ეხლაც, მაგრამ ყველანი არა. იყვნენ და არიან ისეთებიც, რომელთაც დონ-კიხოტის თავგადასავალი ცრემლებს აფრქვევინებს, გულს უკლავს, ჯავრს ჰგვრის და წყენა-კრულვით ათქმევინებს: „კრულ იყვეს ადამიანთა ცხოვრება, რომელიც ულმობლად ჰგმობს, დასცინის იდეალიზმს; რომელსაც მიზნად დაუსახავს მიწის ვიწრო ფარგლით შემოხაზული ცხოველური კეთილდღეობა“. დაუგდეთ ყური რას ამბობს ერთი ამგვარი მკითხველთაგანი: „მე პატარა ვიყავ და არ ვიცოდი, რა იყო ირონია, რომელიც ღმერთმა შექმნა და დაასახლა დედა-მიწაზედ და რომლითაც შეაზავა პოეტმა თავისი ნაწერი. ამიტომაც მწარე ცრემლებს ვაფრქვევდი, როდესაც კეთილშობილი რაინდი იმსახურებდა საგმირო საქმეებით მარტო უმადურობას და ცემა-ტყეპას. რადგანაც მე სულ ახლად დავიწყე კითხვა, იმიტომ ყოველ სიტყვას ხმა მაღლა ვკითხულობდი. ფრინველები და ხეები, წყაროები და ყვავილები ყურს მიგდებდნენ და რადგანაც ამ ბუნების უმანკო შვილებს ქვეყნიერ ირონიისა იმდენივე გაეგებათ, რამდენიც ბავშვებს, იმიტომ იმათაც ყველაფერი ბაჯაღლო ოქროდ მიაჩნდათ და ცრემლები ჩამოსდიოდათ ჩემთან ერთად: ისინიც სტიროდნენ საწყალ რაინდის ტანჯვა-ვაებაზე. ერთი დაბერებული მუხა კიდევაც ქვითინებდა, ჩანჩქარი უფრო მძლავრად აცახცახებდა თავის თეთრ წვერს და, გეგონებოდათ, ლანძღავდა ადამიანთ მათის სისაძაგლის გულისათვის“. გულიანი სიცილი და მწარე ტირილი! რას ნიშნავს ესა? როგორ შეიძლება, რომ ადამიანმა ერთსა და იმავე საგანზე გულიანად იხარხაროს და მწარე ცრემლი დაღვაროს? დიახ, ეს შეუძლებელია, მაგრამ სინამდვილეა. დონ-კიხოტის ისტორია სასაცილოც არის და სატირალიც. საქმე ის არის, როგორ შევხედავთ რაინდის პიროვნებას, გაკვრით თუ ღრმად ჩავუფიქრდებით მის მწუხარე სახეს. თუ ყურადღებას მივაქცევთ მარტო რაინდის თავგადასავლის გარეგან ფაქტებს, მაშინ ხარხარი აგვიტყდება. მართლაც, განა სასაცილო არ არის მეთექვსმეტე საუკუნის გასულს და მეჩვიდმეტის დასაწყისს ის კაცი, რომელიც მოირთვება მეთორმეტე საუკუნის რაინდისავით, შეისხამს იარაღს და გასწევს საგმირო საქმეებისათვის, რომ დაიმსახუროს ყურადღება თავის ქალბატონის, გულის მეფის, პრინცესსა ტობოზელ დულცინეიასი, რომელიც უბრალო გლეხი კაცის ქალია და მარტო ავადმყოფი ფანტაზია რაინდისა ჰქმნის პრინცესსად. განა სასაცილო არ არის, როდესაც ხედავთ, რომ გმირი რაინდი თავგანწირვით ეომება ქარის-წისქვილებს და ჰგონია, რომ მისი მტერი—დევები არიან.

სასაცილოა და კიდეც ამაზე იცინოდნენ სერვანტესის თანამედროვენი. იქნება სერვანტესიც ეგრე უყურებდა თავის უკვდავ რომანს. რომანის მეორე ნაწილს იგი ათავებს შემდეგის სიტყვებით: „მე სხვა მიზანი არა მქონდა, გარდა ერთისა: გამეღვიძებინა ადამიანთა გულში სიძულვილი ცრუ და სულელურ რაინდულ რომანებისადმი, რომელნიც განიძევებიან ჩემი დონ-კიხოტის ცხოვრების მართალ მოთხრობით და მალე სულ გაჰქრებიან“. როგორც ჰხედავთ, სერვანტესს სურდა ბოლო მოეღო რაინდულ რომანებისთვის, რომელიც მთელ ესპანიაში იყო მოფენილი და ყმაწვილკაცობას სულს და გულსა უმახინჯებდა. სერვანტესი ამიტომ იძულებული იყო დაეხატა რაც შეიძლებოდა გადაჭარბებით [illegible] და უგუნურობა რაინდულ იდეალებისა და ამ მიზნისთვის იხმარა მძლავრი ირონია: გახადა თავისი ლამანჩელი აზნაური თითით საჩვენებელი და მასხარად ასაგდები.

თუმცა ეს ასეა, მაგრამ შეუძლებელია, რომ სერვანტესს არ ეგრძნო ის საკაცობრიო მნიშვნელობა, რომელიც აქვს მისგან სასაცილოდ აგდებულს დონ-კიხოტს. სერვანტესი უეჭველად ჰხედავდა, რომ მისი რაინდი მარტო სასაცილო არ არის, არამედ მწარედ სატირალიც; სერვანტესი უეჭველად ჰგრძნობდა, რომ დონ-კიხოტის თავგადასავალი არის თავგადასავალი იდეალისტისა, ენტუზიასტისა, რომელიც დედა-მიწის იქით სწვდება თავის მისწრაფებით, რომელსაც უნათებს შორეული, მაგრამ მომხიბლავი მნათობი; რომელსაც სწამს კეთილის გულის საბოლოოდ გამარჯვება. სერვანტესი ამასა ჰგრძნობდა, რადგანაც დონ-კიხოტი პირველად დახატულია მტკნარ გიჟად, მაგრამ ავტორი თანდათან უმეგობრდება მას, იყვარებს, და დონ-კიხოტი გიჟი იცვლება ბრძენად, აღფრთოვანებულ აზრებით და მისწრაფებით აღსავსედ. მით უმეტეს იწყლულება გული, როდესაც ხედავ, რომ ადამიანის წმიდათა წმიდა ფეხით ისრისება, მურდალი ხელებით იმწიკვლება. მოიგონეთ ის შემთხვევა, როდესაც ღორების ჯოგი ფეხებითა სრესავს დონ-კიხოტს, და დაეთანხმებით ტურგენევს, რომლისთვისაც ლამანჩელი აზნაური ნაკვთია შეუდრეკელ სარწმუნოებისა, იდეალისტისა, ენტუზიასტისა: „ამ საზიზღარ მოვლენაში ღრმა აზრია. ღორების ფეხებით სრესვა ხშირად შეხვდებათ ხოლმე ცხოვრებაში დონ-კიხოტებს, უფრო ხშირად სიკვდილის წინ. ეს უკანასკნელი ხარკია, რომელსაც იგინი უხდიან უხეშ შემთხვევას, გულგრილ და უნიათ გაუგებრობას. ეს ფარისევლის სილაა. შემდეგ მათ შეუძლიათ სული „მიუტევონ. მათ გაიარეს ქურის ცეცხლში, მოიხვეჭეს უკვდავობა, რომელიც იშლება იმათ თვალწინ“.

დიახ, დონ-კიხოტისთვის, როგორც ნამდვილ იდეალისტისათვის, ცხოვრების სინამდვილეს არავითარი მნიშვნელობა არა აქვს. იმას თავის დღეში ფიქრადაც არ მოუვა ცხოვრების მკაცრ მოთხოვნილებისათვის დათმობა. პირიქით, იმას სურს ცხოვრება თავისებურად გადაქმნას. თუ სინამდვილე მისს ილლიუზიას არ ეთანხმება, დონ-კიხოტი არა სწუხს და არც სურს შეამჩნიოს. ის მზად არის სინამდვილე ჯადოსნობის შედეგად ჩასთვალოს და არა რეალურ ფაქტად. ცხოვრება ძვირფასია მისთვის იმდენად, რამდენადაც იგი პირობაა, რომელიც ხელს უწყობს მის იდეალების სისრულეში მოყვანას. დონ-კიხოტი თითქოს ბრმაა, ან თვალებ ახვეული, და, რასაკვირველია, რომ მის მოქმედებაში ბევრი რამ გასაკვირველია და შეუსაბამო. იდეალისტი ან გიჟია, ან კეთილ გონიერებას მოკლებული. იმიტომაც მედგარი, მკაცრი სინამდვილე საჯავს მას: იდეალისტმა არ იცის, რა არის ბედნიერი ცხოვრება, ის ბედნიერი ცხოვრება, რომელსაც შესტრფის გველი გორკის თხზულებიდან „სიმღერა [illegible] შესახებ“. სამაგიეროდ მისთვის სუფევს სხვა, უფრო უტკბესი ბედნიერება: ბედნიერება შესრულებულ მოვალეობისა. არავითარი დაბრკოლება არ შეაშინებს დონ-კიხოტს თავის მოვალეობის შესასრულებლად; დონ-კიხოტი არას დროს არ უღალატებს თვის მიზანს და უშიშრად თავს დასდებს იმის გულისათვის. არც სახელი, არც დიდება, არც სიმდიდრე არ იტაცებს მის გულს. ის კმაყოფილია სულ ცოტათი, მაგრამ მდიდარია ყველაზედ ერთით: აღგზნებულ სიყვარუ-

---

სასაცილო ბიუროკრატია! ვის არ ეპოტინება, ვისი მეშვეობით არ ცდილობს გაიმაგროს ზურგი! უკანასკნელი საშინელი დამარცხების, რუსეთის ესკადრის განადგურების შემდეგ, როდესაც ნამდვილი მამულიშვილი და მოქალაქე ამბობდა: „თექვსმეტი თვეა საშინელი უბედურება თავს დაგვატყდა, თექვსმეტი თვეა, ამ უბედურებას არა აქვს დასასრული; ამის მსგავსი არასოდეს არაფერი არ მოგვსწრებია; სამშობლო უკიდურეს განსაცდელშია ჩავარდნილი, ფლოტი დავღუპეთ სრულიად, ამდენი მილიონი გადავყარეთ წყალში, ამდენი ადამიანი გავწირეთ უმიზეზოდ... უშიშრად უნდა შევხედოთ სიმართლეს თვალებში და გამოვიკვლიოთ ნამდვილი მიზეზი ყველაფრისა; მეტი მოთმინება შეუძლებელია, მეტი ცდა დამღუპველია; უნდა დაიმსხვრეს, რაც დასამსხვრევია და მოეწყოს ახალი, თავისუფალი ცხოვრება! ხალხს უნდა დაუბრუნდეს, რაც ხალხის არის!“-ო ამ დროს ბიუროკრატიას და მის კეთილ მსახურთ სხვა ვერაფერი მოუფიქრებიათ იმის გარდა, რომ ეკკლესიისაკენ მიეშურებიან და იქ უნდათ მოიპოვონ ძალა და გამარჯვება. „როდესაც ადამიანს ეწვევა დიდი უბედურება, იგი არ ჰყვირის, არაფერს ლაპარაკობს, მხოლოდ მიმართავს ღმერთს და მის წინაშე მოიდრეკს მუხლებს ცოდვების მოსანანიებლად და მოწყალების სათხოვნელად; ჩვენც აგრეთვე გვმართებს, შევევედროთ უფლად მწყალობელ ღმერთს, რომელსაც არა ერთხელ მოუნიჭებია ჩვენთვის გამარჯვება და სახელი, რომლის მეშვეობით იმდენი ხალხი დავიმორჩილეთ და დავიმონეთ და ვთხოვოთ, მოგვაშველოს თავის ძლევამოსილი ხელი. სხვა არაფერი არ გვინდა ჩვენ, არც ამბოხება, არც გაფიცვა, არც კრებები და მიტინგები!“ ასე ლაპარაკობდა ერთი ბიუროკრატი პეტერბურგში ცუსიმის ბრძოლის მეორე დღეს. თვით სახელოვანმა გრინგმუტმაც სხვა უკეთესი ვერაფერი მოიფიქრა და თავის გაზეთის ფურცლებზე ურჩევს ძლევამოსილ რუსეთს, რომ იაპონელების დასამარცხებლად საჭიროა „ძირს დახრილი თვალები ჩვენი აღვაპყრათ ზეცად, ერთი საერთო ლოცვით შევმართოთ ღმერთს მთელმა ხალხმა მოინანიოს თავისი ცოდვები და შევევედროთ უფალსა ღმერთსა, რათა მან გვაკმაროს თავისი განცდა და მოწყალებითა თვისითა მოგვანიჭოს მტერსა ზედა გამარჯვება; საჭიროა დაუყოვნებლივ სახალხო მარხვა, ლიტანიები, პარაკლისები, და მაშინ დაეცემა მტერი და შინაურ ამბოხებასაც მოეღება ბოლო.“

ბიუროკრატიისათვის არ არსებობს ისტორიის გაკვეთილები, თორემ ბევრ რასმე საგულისხმიეროს ამოიკითხავდა თავისთვის წარსულ ცხოვრებაში. დაბრმავებული ბიუროკრატია არაფერს არ ხედავს გარშემო, არაფერი ესმის, არაფერს იმახსოვრებს. ბიუროკრატია ყველგან მხოლოდ თავის სახეს ხედავს, მხოლოდ თავისი ხმა ესმის, მხოლოდ იმას იმახსოვრებს, რომ მე ვარ ბატონი, მე უნდა ვიყო ბატონად. ასე რომ არ იყოს, განა ასე მალე უნდა დავიწყებოდა ბიუროკრატიას გუშინდელი ისტორია კუროპატკინისა, რომელიც იმედის ლოცვით და კურთხევით გაისტუმრეს... მაგრამ...

ბიუროკრატიას მაინც კიდევ გამარჯვების იმედი აქვს, მაინც არ უნდა პირდაპირ შეხედოს სინამდვილეს, არაფრის დარდი არა აქვს, არავინ არ ეცოდება, მზადაა, მთელი რუსეთის ხალხი გაუღლიტოს, ოღონდ ბატონობა კი შეირჩინოს. ბიუროკრატიას ასევე თავის გაგრძელება უნდა, სასამ...

* *

ბიუროკრატიას ყველაფერი სძულს და ეზიზღება, გარდა თავის თავისა. მაგრამ ისე არაფერი სძაგს, როგორც კანონი და კანონიერება. ბიუროკრატია ყველაფერს მოითმენს, ხოლო კანონის არსებობას კი ვერა. ბიუროკრატია იმიტომ არის გაჩენილი, რომ კანონიერება სდევნოს და ჩაგროს, უარჰყოს და მოსპოს. ბიუროკრატიას არ შეუძლია ტკბილად და დამშვიდებით დაიძინოს იქ, სადაც კანონია. ბიუროკრატია და უკანონობა ერთსა და იმასვე ნიშნავს.

ასეთია ბიუროკრატია ყოველგან, ასეთი იყო ყოველთვის. წარსული წლის 22 აპრილს ს. დიდი-გომარეთში (ბორჩალოს მაზრა) მოხდა ერთი მეტად საყურადღებო ამბავი, ერთი იმ მილიონ ამბავთაგანი, რომელიც მუდამ ხდება ჩვენში ბიუროკრატიის წყალობით. ამ დღეს მოვიდა გომარეთში მომრიგებელი შუამავალი და შეუდგა ადგილობრივ თავის თანამდებობის შესრულებას, ე. ი. ძალმომრეობის გაშენებას და უსამართლობის განმტკიცებას. ძალად დაუნიშნა გლეხებს მამასახლისი და ისეთი კაცი, რომელსაც არავითარი ნდობა და პატივისცემა არ ჰქონდა სოფელში; არ მისცა გლეხებს ნება, აერჩიათ თავისთვის მწერალი, და თვითონ მისცა მწერლად ისეთი ადამიანი, რომელსაც არც ენა გაეგებოდა ხალხის, არც ცხოვრება, არც იცოდა წერა, მხოლოდ კარგად გავარჯიშებული იყო შექრთამეობასა და სხვა ამისთანა საიდუმლო საქმეებში. მამასახლისსაც და მწერალსაც ისეთი ჯამაგირები დაუნიშნა (რასაკვირველია, გლეხების ჯიბიდან), როგორსაც გუბერნიის სეკრეტრები ვერ ღებულობენ ქალაქებში. გომარეთლებმა რამდენჯერმე ითხოვეს, არ გვარგია არც მამასახლისი და არც მწერალიო, არც მაგდენი ჯამაგირების მიცემა შეგვიძლიაო, მაგრამ ენიკოლოფოვმა მათ თხოვნას ყურიც არ ათხოვა. მოთმინებიდან გამოსულმა გლეხებმა უკანასკნელად მიმართეს 22 აპრილს მომრიგებელ შუამავალს და წინანდელი თხოვნა განუმეორეს, მაგრამ ენიკოლოფოვმა მათი თხოვნა ამბოხებად მიიღო, გლეხების გამოგზავნილი კაცები შეაპყრობინა, გაალახვინა დარაჯებს და ყველას ციხეში ჩაგდება მოუნდომა. გომარეთლებმა რომ თავისი ამხანაგების გაჭირვებული მდგომარეობა გაიგეს, ძლიან შეწუხდნენ, ძველს დარდს ახალი დაემატა, წავიდნენ და მაწუხებელი (ს. სალარიძე) მოუგზავნეს მომრიგებელ შუამავალს: არაფერს გთხოვთ, ისევ ის მამასახლისი და მწერალი დარჩნენ, ხოლო ჩვენს გამოგზავნილ გლეხებს ნურაფერს ავნებ და გაანთავისუფლეო. ენიკოლოფოვი ძალზე გაუჯავრდა სალარიძეს: შენ ვისი ვექილი ხარ, გლეხების აგენტიო! ოცდა ხუთი მანეთი ჯარიმა შეაწერა სალარიძეს და იმდენი ბიუროკრატიული თავხედობაც კი გამოიჩინა, რომ გამათრახებაც მოუნდომა. მაგრამ სალარიძემ შესაფერი პასუხი გასცა...

გლეხებმა გაიგეს, რასაც უპირებდა მომრიგებელი შუამავალი მეორედ გაგზავნილ კაცსაც, ერთხმად იგრიალეს, მთელი სოფელი ფეხზე დადგა, ქალი და კაცი, და [illegible] ენიკოლოფოვს, რომ იმავე სალარიძეს არ შეხვედროდა სახლში... შეშინებული ენიკოლოფოვი უკანა კარებიდან გაიპარა და მოჰკურცხლა მაზრის უფროსთან. იქ შესაფერი დაბეზღება გამოცხო ს. სალარიძესა და გომარელებზე. სალარიძე და რამდენიმე გლეხი შეიპყრეს და 3—4 თვე ციხეში დასტანჯეს.

21 ამა მაისს გაირჩა სალარიძის და გომარეთლების საქმე. მათ ბრალად ედებოდათ „აჯანყება და წინააღმდეგობის გაწევა“. სასამართლომ „გაამართლა“ ბრალდებულნი. ასეთია ბიუროკრატიული სასამართლო: მის მაგიერ რომ გაესამართლებინა ნამდვილი დამნაშავე ენიკოლოფოვი, გაასამართლა მართალი ადამიანები!....

სიტყვა

ლით თავისუფლებისადმი. „თავისუფლება, სანჩო, ეუბნება დონ-კიხოტი თავის ამხანაგს, უძვირფასესი საჩუქარია ცისა. არაფერი არ შეედრება იმას: არც სიმდიდრე, დედა მიწის გულში დამარხული, არც სალარო, რომელსაც ჰფარავს ზღვის სიღრმე. თავისუფლებისათვის კაცმა უნდა თავი გასწიროს, რადგანაც მონობა უდიდესი უბედურებაა, რომელსაც შეუძლიან ეწვიოს ადამიანს. მე შენ გეუბნები ამას, სანჩო, იმიტომ, რომ შენ ნახე სიმდიდრე და უხვობა, რომლებითაც ვსარგებლობდით დატოვებულ სიმაგრეში. მშვენიერ სადილები, გაყინული სასმელები არ ატკბობდნენ ჩემ გულს. მე მეგონა, რომ შიმშილისაგან ვიტანჯები, რადგანაც თავისუფლად ვერ ვხმარობდი: მე არ მეკუთვნოდნენ. როცა იძულებული ხარ კეთილისათვის მადლობა მიუძღვნა, მაშინ შენი გონება როგორღაც შებოჭვილია, ფრთებს თავისუფლად ვერა შლის. ბედნიერია, ვისაც ცამ უბოძა ლუკმა პური, რომლისთვისაც მადლობა უნდა შესწიროს მარტო ცას და სხვა არავის.“

ასეთია დონ-კიხოტი, „მწუხარე სახის რაინდი.“ რა მნიშვნელობა აქვთ ამისთანა პირებს? რა კვალს სტოვებენ ცხოვრებაში? სერვანტესი ამაზედ იძლევა პასუხს დონ-კიხოტის სანჩოზედ ზედგავლენის დასურათხატებით. ის სანჩო, რომელსაც კუჭის ინტერესები ღმერთად გაუხდია, კეთილი, ნებიერი ცხოვრება მარტოდ მარტო მიაჩნია ადამიანის ღირს მიზნად, ის სანჩო მთლად იცვლება გრძნობით სავსე დონ-კიხოტის სიტყვებით და აი რას ეუბნება ჰერცოგს, როცა ანგარიშს აბარებს გუბერნატორობის შემდეგ: „შიშველი შევდგი ფეხი და შიშველი ვბრუნდები უკან.“

დიახ, დონ-კიხოტი ბევრს ეჩვენება ცხოვრებაში გამოუსადეგრად, მაგრამ ცხოვრების წინსვლაში მათ პირველი ადგილი უჭირავთ. ერთს ნაბიჯსაც ვერ გადადგამთ წინ, თუ რწმენა მტკიცე და შეურყეველი არ ღვივის თქვენს გულში, თუ ყოველს წუთს მზად არა ხართ სიცოცხლე შესწიროთ იმას, რაც დაგისახავთ წმიდათა წმიდად. დაე, დაგცინონ, დაგგმონ, ტალახში ამოგსვარონ, გაგანადგურონ კიდევაც, მაინც დარჩება ენტუზიაზმი, ის ჯადო, რომელიც გულს აუჩქროლებს სხვებს, ფრთებს შეასხამს და დაამარცხებინებს მტერს. სწორედ ეხლა გვჭირია დონ-კიხოტობა, როცა შორიდან ვხედავთ ბრწინვალე მზეს, რომელიც გველაშაპს დაუტყვევებია. თუ არ ვირწმუნებთ, როგორც დონ-კიხოტი, თუ არ შევებრძვით, როგორც ლამანჩელი რაინდი, შთანთქმული იქნება ბრწყინვალე მზე და ისევ უკუნეთი მოიცავს არე-მარეს.

მაშ გაუმარჯოს დონ-კიხოტს! გაუმარჯოს შეურყეველ რწმენას! გაუმარჯოს თავგანწირულ ბრძოლას იდეალისთვის! **ყვავი**

◆

მასწავლებელ ქალთა საზოგადოების რეფორმა

მასწავლებელ და აღმზრდელ ქალთა ტფ. საზოგადოება კვლავ შეუდგა თავის რეფორმის საქმეს. ვამბობთ „კვლავ“ იმიტომ, რომ სამის წლის წინად ამ საზოგადოებაში დიდი ბრძოლა იყო რეფორმის მომხრეთა და მოწინააღმდეგეთა შორის. მაშინ მოწინააღმდეგეებმა —„ფემინისტკებმა“—გაიმარჯვეს და სასტიკად დაამარცხეს ის მანდილოსანნი, რომელთაც საზოგადოების გადაკეთება უნდოდათ და ამისათვის განიზრახეს მამაკაც პედაგოგების მიღება საზოგადოების ნამდვილ წევრებად. საქმის ასე დატრიალებამ ცუდი შედეგი იქონია საზოგადოებისთვის: ბევრი წევრი მოშორდა და საზოგადოება უმოქმედოთ, უფერულად აჩანჩალებს ცხოვრებას.

ახლა ისევ განიზრახეს საზოგადოების რეფორმა, რისთვისაც უკანასკნელ საზოგადო კრებაზე კომისია აირჩიეს. კომისიას კიდეც შეუმუშავებია პროექტი და დღეისთვის იწვევს საზოგადო კრებას, რომელმაც უნდა განიხილოს პროექტი და საბოლოოდ გადასწყვიტოს სადავო საგანი.

ახალის პროექტით, საზოგადოების მიზანი მარტო ნივთიერი დახმარება-კი არ იქნება, არამედ ზნეობრივ-სულიერი; საზოგადოება აკავშირებს მარტო ქალებს-კი არა, არამედ ყველა პედაგოგებს განურჩევლად სქესისა. თავის მიზნის მისაღწევად საზოგადოება გამართავს: 1) კრებებს, 2) პედაგოგიურ კურსებს, 3) პედაგოგიურ ყრილობათ და გამოფენათ, 4) უფასო და ფასიან საჯარო ლექციებს, 5) დაჰბეჭდავს წიგნებს, ბროშურებს, ოწოდებათ და სხვა, 6) გამოსცემს პერიოდულ ორგანოს, 7) გამართავს ბიბლიოთეკებსა და წიგნების საწყობებს, 8) გახსნის სხვა და სხვა ტიპის სკოლებს და 9) გამართავს ბავშების თავშესაფარს, საზაფხულო კოლონიებს, მოგზაურობათა და სხვა. ამასთანავე, როგორც წინად, ნივთიერ დახმარებასაც აღმოუჩენს ხოლმე წევრებს. პროექტით განზრახულია, ჩვენის ქვეყნის ყველა პედაგოგები შეაერთონ სოფლისა და ქალაქის, რისთვისაც ნება ექნებათ ყველგან დააარსონ განყოფილებანი.

როგორც ჰხედავთ, კომისიას საკმაოდ გაუფართოვებია საზოგადოების დანიშნულება და განზრახვა აქვს ნამდვილი საპროფესიო კავშირი შეჰქმნას მასწავლებლებისა. ასეთს კავშირს მართლა ექნება მნიშვნელობა და ამიტომ უნდა ვიფიქროთ, რომ ამ ჟამად მაინც ვერ გაიმარჯვებენ „მამაკაცთა მოძულე“ ფემინისტ-ქალები და აღარ ჩაფუშავენ კეთილ განზრახვას, თუმცა, როგორც გვითხრეს, დღევანდელ კრებაზედაც ცხარე შეტაკება მოუვათ რეფორმის მომხრეთა და მოწინააღმდეგეთ.

◆

ღამის დეპეშები

„პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოსაგან“

28 მაისი

ლონდონი, 28 მაისი. გაიაშიმ უთხრა „სტანდარტ“-ის თანამშრომელს, იაპონიის არც ერთ დიპლომატს არ შეუძლიან უჩვენოს ზავის პირობები, რომელნიც უნდა განიხილონ რუსეთისა და იაპონიის რწმუნებულთ. შუამავალის საქმე იმაშია, რომ გადასცეს რუსეთის სურვილი ზავზე მოლაპარაკების დასაწყებადო.

სიტიაზა, 28 მაისი. ამბობენ, გირინის პროვინციის რაიონში იაპონელები და ხუნხუზები გაჩნდენო.

ტოკიო, 28 მაისი. (დეილი-ტელეგ.). ინკოუდან გამოგზავნილი დეპეშა შემდეგს იუწყება მიშჩენკოს რაზმის შესახებ: რაზმის ერთი ნაწილი მოჰრილი აღმოჩნდა და იძულებული გახდა დაეხია სეტსიანცზის ოლქში, 40 მილზე სინმინტის ჩრდილოეთით. მას სრულებით გამოელია საზრდო და ცხენის ხროცით იკვებება. ჩრდილოეთ კორეიდან მოსულ ცნობებით, რუსების ქვეითების ერთი დივიზია და არტილერიისა და კავალერიის ცალკე რაზმი ლიონგეუნგ-უნსონის რაიონში არიან დაბანაკებული. „ასახი“ ამბობს, იაპონიას კარგათ ესმის, შეუძლიან, თუ არა რუსეთს განაგრძოს ომი, მაგრამ თუ რუსეთი გადასწყვეტს მის განაგრძობას, ის ამით შეძლებას მისცემს იაპონიას უფრო საშინლად დაამარცხებინოს თავი და ბოლოს იქამდე მიიყვანს მას, რომ გაანადგურებინებს ხმელეთის ჯარს ისე, როგორც ფლოტი გაანადგურებინაო. „კოკუმინ“-ი ამბობს, იაპონია არ უღალატებს თავის გადაწყვეტილებას არ დასდოს იარაღი, სანამ თავის მიზანს არ მიაღწევსო. „ჟიჟიშიმპო“-ს აზრით ძლიერ სცდებიან ისინი, ვისაც სწამს ზავის მოახლოვება.

გონკონგი, 28 მაისი, („რეიტ.“). ბრიტანიის ჯავშნოსნები მიდიან გონკონგიდან და სინგაპურიდან და ინგლისს დაბრუნდებიან.

პეტერბურგი, 27 მაისი. ადმ. ენკვისტის უქვეშევრდომილესი დეპეშა მანილიდან 23 მაისის თარიღით: „უქვეშევრდომილესად მოგახსენებთ, რომ ბრძოლა 14 მაისს ცუსიმისა და კოტცუსიმის შორის სწარმოებდა; ცა მოწმენდილი იყო, ჰქროდა გრილი სამხრეთის ქარი; ჰორიზონტი ნისლით იყო მოცული. იაპონიის ესკადრა გამოჩნდა დღის 1 ს. და 45 წ. ჩრდილოეთიდან და მაშინვე დაიწყო ბრძოლა. იაპონელების ტაქტიკას მიზნათ ჰქონდა, არ გავეშვით ვლადივოსტოკისაკენ. ამიტომ ყოველთვის, როცა ჩვენი ესკადრა ჩრდილოეთისკენ დაიჭერდა პირს, ისინი სარგებლობდნენ სიარულის უპირატესობით, წინიდან უვლიდნენ ჩვენის ჯავშნოსნების კოლონას და მეთაურს რაზმიდან გვაცლიდნენ. ჯავშნებით შეიარაღებულ ერდოებიანი კრეისერები მტრისა, რიცხვით 9, რომლებშიც „ჩინიენი“-ც ერია, თავიანთ მთავარ ძალებთან ერთად როდი მოქმედებდნენ; ისინი იმას ცდილობდნენ, ორი მხრიდან მიეჩინათ ცეცხლი ჩვენის ნაღმოსნებისთვის; მათ წინააღმდეგ ბრძოლის განმავლობაში კრეისერები მოქმედებდნენ; ბრძოლის შემდეგ 50 წ. რომ გავიდა, „ოსლიაბია“ გადაბრუნდა და დაიღუპა, „ბოროდინო“ კი რაზმიდან გავიდა. ჩქარა გაიყვანეს რაზმიდან საესკადრო ჯავშნოსანი „კნიაზ სუვოროვ“-ი, რომელზედაც ცეცხლი გაჩნდა და საკვამლეები და ანძები დაინგრა. ესკადრამ პირი იბრუნა, რათა „სუვოროვ“-ი დაეფარა. „ბოროდინო“ შეკეთდა და ისევ დაიჭირა თავისი ადგილი. მეთაურის ადგილი „ალექსადრე მე-3“-ეს ეჭირა. მეორე ბრძოლაში დაიღუპა „ურალ“-ი, რომელთაც, თავიანთ სურვილით, სროლის დროს, წავიდნენ ბუქსირი „სვირ“-ი და ტრანსპორტი „ანადირ“-ი, რომელსაც ვუბრძანე ხალხი გადმოესხა „ურალ“-იდან. ზემოხსენებულმა ტაქტიკამ იაპონელებისამისა ჰქნა, რომ ჩვენ იძულებული გავხდით გვეარნა იმ წრის გარეშემო, რომელშიაც ტრანსპორტები და ნაღმოსნები იყვნენ მომწყვდეულნი. გარეშე წრეს იაპონელები უვლიდნენ. ამგვარი მდგომარეობა ძლიერ გამოუდეგარი იყო; ჩვენ არ შეგვეძლო თავი დაგვეხწია მისთვის, როცა ისე ნელა მავალი გემები გვყავდა. მზის ჩასვლისას მაინც ჩრდილოეთისკენ მოვექეცით. ამ დროს ერთ-ერთ ნაღმოსანთაგანზე საესკადრო ჯავშნოსან „კნიაზ სუვოროვ“-თან სიგნალი ამართეს: „ადმირალი უფროსობას ადმ. ნებოგატოვს აძლევსო.“ „იმპ. ალექ. 3“-ი ძლიერ გადაიწია გვერდზე და რაზმიდან გამოვიდა, მეთაურად „ბოროდინ“-ო დარჩა, რომელსაც ცეცხლი მიუჩემა მტერმა. მზის ჩასვლისას, „ბოროდინო“-მ უკანასკნელად გაისროლა, სწრაფად გადაწვა გვერდზე და გადაბრუნდა. ესკადრის მიმდევარი ბევრი ნაღმოსნები გამოჩნდნენ ნისლში და ესკადრამ სამხრეთისაკენ შეუხვია. ამ დროს სათვალავში დამაკლდა საესკადრო ჯავშნოსანი „ბოროდინ“-ო, „ოსლიაბია“, ტრანსპორტები „კამჩატკა“, „ურალი“, და ბუქსირი „რუს“-ი. ბრძოლის დროს თითქმის ყველა გემზე ცეცხლი გაგვიჩნდა, მაგრამ არას გზით მისი ჩაქრობა არ იქნა ერთის წუთითაც-კი. ჯავშნოსნები, უკანასკნელად გასროლასთან ერთად, მაშინათვე ბრუნდებოდნენ. კრეისერები მტრის კრეისერებსა და ზოგჯერ „ნისინ“-სა და „კასუგა“-ს ებრძოდნენ ჯვარედინ ცეცხლს ქვეშ, მათ დიდი ზარალი მიაყენეს დიდის კალიბრის ყუმბარებმა. ბრძოლის დაწყებისთანავე შევამჩნიე კრეისერ „ოლეგი“-დან უეიხეიდის ნაღმი, რომელიც ჩვენს კურსს სჭრიდა, მაგრამ თავი დავაღწიეთ მას. ამ დროს იაპონელების ნაღმოსნები არ სჩანდნენ, დიდი გემები ძლიერ შორს იყვნენ, რომ ნაღმები ესროლათ ჩვენთვის. ღამის სიბნელემ ვერ შესწყვიტა ბრძოლა. დაიწყო ნაღმების იერიშები და სროლა ჩვენის გემებისკენ, რომელთაც პროჟექტორები გახსნეს. რა შედეგი იყო, არ შემიძლიან მოგახსენოთ, ვინაიდგან ბნელის წყალობით ვერ გავარჩიე ჩვენი გემები მტრისებისაგან. მე შესაძლოდ ვსცნობდი ჩრდილოეთისკენ გავჭრილიყავ კრეისერებ „ოლეგ“-ით, „ავრორა“ და „ჟემჩუგი“-თა და ამიტომ რამდენჯერმე ვსცადე გავსხლტომოდი მტრის ნაღმებსა და კრეისერებს, მაგრამ იძულებული ვიყავ უარი მეთქვა ამ განზრახვაზე, რადგანაც გამუდმებული იერიში მოჰქონდა მტერს. ერთსა და იმავე დროს 4 ნაღმოსანმა უეტხეიდის 17 ნაღმზე მეტი გაისროლა უსარგებლოთ, სამხრეთით რომ მოვბრუნდი ბნელმა დამიშალა ჩვენის გემების შემჩნევა, რომელნიც ცეცხლს მოეფარენ და განვაგრძეთ გზა „ოლეგ“-თან, „ავრორა“-სთან და „ჟემჩუგ“-თან ერთად იმ იმედით, რომ განთიადისას ესკადრას დავინახავ-მეთქი. 15 მაისს დილით ესკადრა ველარ დავინახე და შევჩერდი კრეისერების მდგომარეობის გამოსაკვლევად. რადგანაც არ ვიცოდი, საით წავიდა ესკადრა, ამიტომ ჩრდილოეთისკენ წასვლა და ძლიერ დაზიანებულ გემებით იაპონიის მთელს ფლოტთან შეხვედრია შეუძლოთ დავინახე, ნახშირის უქონლობა და სერიოზული ზიანი გემებისა არ მაძლევდნენ ნებას ლაპერუზოვის სრუტით გავსულიყავ. გადავსწყვიტე მანილაში წასვლა. მეზღვაურების ყოფა-ქცევას უბრალო ენა ვერ შეაქებს“.—მეორე 27 მაისის თარიღით: „თქვენის იმპერატორობითი უდიდებულესობის მოწყალე სიტყვებმა სიხარული აღუძრეს რაზმში მოსამსახურეებს; ისინი აგვატანინებენ ჩვენს თავს მოვლინებულ მძიმე ხვედრს“.

„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან“

28 მაისი.

ვაშინგტონი, 27 მაისი. რუზველტი ორის დღით თავის მამულში მიდის ვირგინიაში, რაც იმის მაჩვენებელია, რომ ახლო მომავალში არ უნდა მოველოდეთ ზავის საკითხის შესახებ სერიოზულ ამბებს.

გონკონგი, 27 მაისი. კემმა „ტეონ“-მა დაინახა 25 მაისს რუსის მაშველი კრეისერი, რომელიც ნელ-ნელა მიდიოდა სამხრეთ-დასავლეთისკენ. „ტეონ“-მა სიგნალი მისცა: „რუსის სამი კრეისერი ვართ მანილიდანო“. კრეისერმა უპასუხა: „გმადლობთო“.

ტოკიო, 26 მაისი. მარკიზ იტოს გრაფინია იგნატიევის დეპეშა მოუვიდა რა მოუვიდა ჩემს შვილს, ლეიტ. გრაფ. ვლადიმირ იგნატიევს, რომელიც ჯავშნოსან „იმპერატორ ალექსანდრ მე-III“-ზე იყო და ჩემს დისწულს, კაპ. ალექსი ზუროვს, რომელიც კრეისერ „სვეტლანა“-ზე მსახურებდაო. მარკიზ იტოს თხოვნით საზღვაო მთავრობამ ცნობები შეკრიბა და ვერ აღმოაჩინა ვერც ერთი და ვერც მეორე. იაპონიაში არავითარი ცნობა არაა მათ შესახებ.

ტოკიო, 27 მაისი. ადმირალი (?) ჯერ არ მოვა ტოკიოში და ამ ჟამად ერთს ადგილას იმყოფება, მაგრამ სადა სახელდობრ, არ იციან. ამბობენ, იაპონიის რამდენიმე კონტრ-ნაღმოსნებს, რომელნიც კრეისერ „იზუმრუდ“-ს მისდევდნენ, ბრძანება მოუვიდათ, უკან დაბრუნდითო.

რედაქტორ-გამომცემელი **ალ. გ. ჯაბადარი**

განცხადებანი

სტუდენტი-უნივერსანტი

ეძებს საზაფხულოდ გაკვეთილებს ან შესაფერს საქმეს. ადრ. ელისაბედის ქუჩა № 86, ბინა ბუდაგოვსკისა ნახვა შეიძლება ყოველ დღე 4—7 საათ. საღამ. (2—237—2)

სკოლა და პანსიონი

ნ. ა. ბუგაევსკის-ერისთავისა

7 ივნისს საავარაკოდ მიდის სოფ. ახალქალაქში (გორის მაზრა). სკოლა იღებს მოსწავლეებს პანსიონერებად, ნახევარ-პანსიონერებად და გარედან მოსიარულეებად. სკოლა ამზადებს საშუალო სასწავლებლების დაბალ კლასებისათვის. სწავლება ახალ ენებისა.

ალექსანდრეს ქუჩ., ვიზიროვის სახლი, № 27. (3—2)

ხუთი ახალი წიგნი

წიგნის მაღაზია „ცოდნა“ გამოცემა

სამშობლოსათვის თავდადებულნი . 40 კ.
რუსეთის დამყარება საქართველოში—20
ათი მოთხრობა ივ. მაჭავარიანისა—20
ხალხური ვეფხის ტყაოსანი . . . 10
იაპონია ნ. ნიკოლაძისა 20

დარბაზის კედლებად მოსართავი სურათები:

შოთა რუსთაველისა დიდი 50 კ. აკაკისა 40 კ. ილია ჭავჭავაძისა 40 კ. რაფიელ ერისთავისა 40 კ. ნ. ბარათაშვილისა 50 კ., გიორგი წერეთლისა 30 კ. ირაკლი მეფისა 30 კ. ეგნატე ნინოშვილისა 30 კ., ჯგუფი ქართველ მწერალთა 75 კ., ჯგუფი თამარ. ვეფხის ტყაოსნის მირთმევა 40 კ. საქართველოს დიდება 1—20 კ. თამარ მეფის დიდი სურათი 1—50 კაპ. პატარა 6 კაპ.

და სხვა ყოველგვარი წიგნები.

მოსამართი: ტფილისი, წიგნის მაღაზია „ცოდნა“ **ხოსიკო მერკვილაძე.** (20—2)

ტფილისის აკეპარქიო **სიონის ტაძრის** გვერდით არის საწყობი საეკლესიო ყოველ გვარ ნივთეულობათა, სადაც ყველა ნივთეულობა ისყიდება იაფად, თითქმის ქარხანათა ფასებით. იქ ისყიდება: ხატები, ჯვრები, ბავრაყები (ხორუგვი), შანდლები, შვიდ სასანთლები, კანდელები, ფარჩეულობა და მზად შეკერილი შესამოსელნი სამღვდელო და სადიაკვნო. შეკვეთითაც შეიძლება შეიკეროს საჩქაროდ და იაფად შესამოსელი დაწყებული 14 მან. ვიდრე 150 სანეთამდის. სანთლის ქარხანაშიაც შეიძლება შეკვეთა და საწყობშიაც. (0—11)

სიბრძნე-სიცრუე

ახალი გამოცემა

იყიდება ქართველთა ამხანაგობის კიოსკში.

ფეხსაცმელი

ს.-პეტერბურგის სამექანიკო წარმოების ამხანაგობისა,

მკვიდრი, კოხტა და მსუბუქი, კაცისა, ქალისა და ბავშვისა,

აგრეთვე მსწრაფლ-შავლეიბი და სანდალიები. ყველა ამის შეძენა შეიძლება ტფილისსა და ამიერ-კავკასიის სხვა ქალაქების საუკეთესო მაღაზიებში

ФАБРИЧНОЕ КЛЕЙМО

გთხოვთ ყურადღება მიაქციოთ სავაჭრო ნიშანს

ტყავის საქონელი

რუსეთსა და საზღვარ-გარედ დამზადებული, მრავლად არის

სავაჭრო სახლის

„ლეოპოლდ ნეიშელლერ-ის საწყობში.

ტელეფონი № 346. ერევნის მოედანი. (60—ნ.—38)

იყიდება

კვასი ძმ. გეურქოვებისა, სასამართლოს ქუჩაზე, მაისურაძის სახლი, № 6, პირველ გიმნაზიის უკან, გრიგოლ ბუაჩიძის მაღაზიაში. (1—239—1).

მთავარი საწყობი შეშისა

✦ პ. ი. ქურცხალიასი ✦

[illegible]

(90—67)

„ცოდნა“ ქართული წიგნის მაღაზია

[illegible]

საადრესო: Тифлисъ, книжный магазинъ „ЦОДНА“.

წიგნის მაღაზიის გამგე ხოსიკო მერკვილაძე.

(ზლ.).

Магазинная вывѣска
Рисунокъ утв. Отд. пром. и торг. М. Фин.

ШВЕЙНЫЯ МАШИНЫ
ШВЕЙНЫЯ МАШИНЫ
ШВЕЙНЫЯ МАШИНЫ

КОМПАНІИ ЗИНГЕРЪ

Необходимы для домашняго употребленія. Образцовы въ конструкціи и исполненіи. Продаются только въ магаз. Комп. Зингеръ.

Отпускъ машинъ съ платежемъ **отъ 1 рубля въ недѣлю.**

Безплатное обученіе шитью и моднымъ художественнымъ вышивкамъ.

Остерегайтесь поддѣлокъ!

Ручныя машины съ высокимъ рукавомъ во всѣхъ нашихъ магазинахъ отъ 25 руб.

Болѣе 1200 собственныхъ магазиновъ по всей Россіи!

THE SINGER MANFG. CO. TRADE MARK
фабричное клеймо которымъ снабжены машины.

ზინგერის ამხანაგობისა

საკერავი მაშინები

იყიდება მხოლოდ ამხანაგობის საკუთარ მაღაზიებში. ამხანაგობას 1200-ზე მეტი მაღაზია აქვს რუსეთის სხვა-და-სხვა ქალაქში. მაღაზიები გაიგება ზედწარწერით რომელზედაც გამოხატულია ასო „ზ“. ნახატი დამტკიცებულია ფინანსთა სამინისტროს სამრეწ. და სავაჭრო განყოფილების მიერ. გაუფრთხილდით, არ მოგატყუონ! ყიდვა მაშინისა შეიძლება ნისიად, და ფულის ნაწილ-ნაწილ შემოტანით, კვირაში თითო მანეთიდან. (25—9).